საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 77 (1093) პარასკევი, 7 ივლისი, 1995 წელი. ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის არჩევნების და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ

ობის გათვალისწინებით, რომ „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის მიხედ[illegible] საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადა მთავრ[illegible] 1995 წლის 4 ნოემბერს და პარლამენტის არჩევნები უნდა [illegible] უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ოთ[illegible] თვისა, ამასთან, საკონსტიტუციო კომისიამ უკვე მოიწონა სა[illegible]ველოს კონსტიტუციის პროექტი, გადაეცა პარლამენტს განსახილველად, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. 1995 წლის 26 ივლისამდე პარლამენტმა განიხილოს კონსტიტუცია ან კანონი, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებანი.
2. 1995 წლის 3 აგვისტომდე განხილულ იქნეს კანონები საქართველოს ორპალატიანი პარლამენტისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.
3. საქართველოს პარლამენტის ერთი პალატა — რესპუბლიკის საბჭო — აირჩეს პროპორციული საარჩევნო სისტემის, ხოლო მეორე პალატა — სენატი — მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
4. საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჩატარდეს 1995 წლის ნოემბერს და, შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, იმავდროულად ჩატარდეს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ამ დადგენილების პირველი და მეორე მუხლების შესაბამისად.
5. შეჩერდეს 1992 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულება. გაგრძელდეს საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება პარლამენტის სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
6. კონსტიტუციის ან პირველ პუნქტში აღნიშნული კანონის მიუღებლობის შემთხვევაში, რეფერენდუმზე გატანილ იქნეს კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებებს, რეფერენდუმი ჩატარდეს 1995 წლის 20 აგვისტოს.
7. თუ შესაბამისი კანონი არ იქნა მიღებული, პარლამენტის არჩევნები ჩატარდეს 1992 წლის პარლამენტის არჩევნების დებულებით, იმის გათვალისწინებით, რომ გაუქმებულად ჩაითვალოს პრეფერენციების წესი და საკომპენსაციო სიები; დეპუტატთა მანდატები მიეკუთვნოთ მხოლოდ იმ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც შიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის ხმების არანაკლებ 5 პროცენტს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, **1995 წლის 4 ივლისი**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

აფხაზეთში მომხდარი სტიქიური მოვლენა, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი და ნგრევა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ აღიქვა, როგორც დიდი ტკივილი და უბედურება.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავს მოვალედ მიიჩნევს, რომ აღმოუჩინოს აფხაზეთს, რომელიც შედის საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციაში, საჭირო დახმარება სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად.

ქვეყნის რეალური პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მიმართავს ყველა ქვეყნის ხელმძღვანელებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულ მოსახლეობას, თავიანთი წინადადებანი გადმოსცენ უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მორიგი ორხელისუფლებიანობა(?) რუსეთში და ჩეჩნეთის კონფლიქტი

ხუთშაბათს გროზნოში იწყება მოლაპარაკების მესამე რაუნდი რუსეთის სამთავრობო დელეგაციასა და ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციას შორის.

სამშაბათს და ოთხშაბათს მოსკოვში რუსეთის სამთავრობო დელეგაციამ ჩეჩნეთთან მოლაპარაკებაზე კონსულტაციები გამართა პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინთან. საუბრებში მონაწილეობდნენ დელეგაციის მეთაური ვიაჩესლავ მიხაილოვი, მისი მოადგილე არკადი ვოლსკი, ნიკოლოზ სემიონოვი და ჩეჩნეთში ფედერალური ჯარების დაჯგუფების სარდალი გენერალი ანატოლი კულიკოვი. დელეგაციამ რუსეთის მთავრობის მეთაურს გააცნო გროზნოში მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი. მიხაილოვმა თქვა, რომ შესაძლებელია „მოლაპარაკების ბოლომდე მიყვანა“. გენერალმა კულიკოვმა აღნიშნა, რომ სეპარატისტთა წარმომადგენლების დელეგაცია „ვერ ხედავს სხვა გამოსავალს მოლაპარაკების გარდა“.

ოთხშაბათს პრეზიდენტმა ბორის ელცინმა პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინთან განიხილა რუსეთის საბოლოო პოზიცია გროზნოში მოლაპარაკებაზე. პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი მედვედევმა თქვა, რომ განიხილეს ჩეჩნეთის კონფლიქტის გადაწყვეტის როგორც სტრატეგიული, ასევე ტაქტიკური საკითხები. მოულოდნელ დისონანსად გაისმა პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულება ჩეჩნეთში რუსეთის ჯარის მუდმივად ყოფნის შესახებ. რუსეთის სამთავრობო დელეგაციის მეთაურის მოადგილემ არკადი ვოლსკიმ პრეზიდენტის ეს ბრძანებულება დელეგაციისათვის სიურპრიზად მიიჩნია, რომელსაც შეუძლია გააქარწყლოს გროზნოში მოლაპარაკებაზე მიღწეული შეთანხმებები და ხელი შეუშალოს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას. ვოლსკიმ თქვა, რომ რუსეთი არასოდეს არ დათანხმდება ჩეჩნეთს რუსეთის შემადგენლობიდან გასვლას, ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან ჯარების მთლიანად გამოყვანას, რომ ჩეჩნეთი როგორც თათრეთი და რუსეთში შემავალი სხვა რესპუბლიკები, რუსეთის ფედერაციის სუბიექტად უნდა დარჩეს. ამასთანავე დასძინა: მას აღუთქვეს, რომ პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულება ჩეჩნეთში რუსეთის ჯარების მუდმივად ყოფნის შესახებ შესწორდება ან გაუქმდება და სწორედ ამიტომ იგი მიემგზავრება გროზნოში მოლაპარაკების გასაგრძელებლად. როგორც ვოლსკიმ თქვა, მან ადრე დაგმო თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის განცხადება იმის შესახებ, რომ ჩეჩნეთის მხარე მოლაპარაკებას იყენებს თავისი სამხედრო ძალების გადასაჯგუფებლად. გროზნოში მოლაპარაკების მესამე რაუნდში უნდა გადაწყდეს ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა (რომელმაც ბუდიონოვსკის ტრაგედიის უმწვავეს დღეებში პირადად იკისრა მთელი პასუხისმგებლობა მძევალთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად და განკარგულება გასცა დაეწყოთ მოლაპარაკება ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციასთან) მტკიცედ განაცხადა, რომ მიიღებს უშუალო მონაწილეობას მოლაპარაკების დამამთავრებელ ეტაპზე.

გროზნოს მოლაპარაკებაზე სეპარატისტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა უსმან იმაევმა შეშფოთება გამოთქვა პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რუსეთმა ამით ჩაშალა მოლაპარაკება და აპირებს ძალის გამოყენებით გადაწყვიტოს ჩეჩნეთის კონფლიქტი, ამ ბრძანებულებამ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია დასავლეთში...

გროზნოში რუსეთის სამთავრობო დელეგაციისა და ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციის მოლაპარაკების მესამე რაუნდმა ფაქტობრივად უნდა აისახოს, თუ როგორია ძალთა რეალური განლაგება რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, რომელი ძალები წარმართავენ ქვეყნის პოლიტიკას.

ირაკლი ჯაფარიძე.

კახა ჩხატარაიშვილის ფოტო

ობოლი და ზრუნვასმოკლებული ბავშვებისათვის...

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სწავლების, აღზრდისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მატერიალურ მდგომარეობაზე. ფაქტობრივად, ბავშვები აღარ ღებულობენ ნორმით გათვალისწინებულ კალორიულ საკვებს, შეწყვეტილია მომარაგება რბილი და მაგარი ინვენტარით, ჰიგიენისა და სასკოლო ნივთებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და სხვა.

მინისტრთა კაბინეტმა დაავალა შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა, სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა სწავლების, აღზრდისა და მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, შეისწავლონ ამ ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, კონტროლი გაუწიონ მათ მუშაობას, გადააქციონ ისინი საზოგადოებრივი ყურადღებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა ზრუნვის ობიექტად.

ფინანსთა სამინისტროს მიეცა მითითება, რათა აღნიშნულმა ორგანიზაციებმა დროულად მიიღონ მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები, როგორც გამონაკლისი, ნაღდ ანგარიშზე შეიძინონ ზოგიერთი სამეურნეო საქონელი. ჯანმრთელობის სამინისტრომ უნდა გამონახოს სათანადო სახსრები ბავშვთა დაწესებულებებისათვის მედიკამენტების, სამედიცინო კაბინეტების აღჭურვილობის შესაძენად, ჰიგიენური ნორმების დასაცავად. საქართველოს საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიურომ ჰუმანური დახმარების განაწილებისას უნდა გაითვალისწინოს ბავშვთა ამ ტიპის სასწავლებლები.

იხილება საკითხი იმის შესახებ, რომ ობოლმა და მშობელთა ზრუნვას მოკლებულმა ბავშვებმა უფასოდ ისარგებლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, დაესწრონ კინო-სეანსებს, სპორტულ ღონისძიებებს.

უახლოეს დროს დადებითად გადაწყდება აღნიშნული ტიპის ბავშვთა დაწესებულებებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხი დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად, მათი ტექნიკით, სასუქებითა და სათესლე მასალით უზრუნველსაყოფად. ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ ბავშვთა დაწესებულებების, შენობა-ნაგებობების მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში გამონახონ სახსრები სავალდებულო სარემონტო სამუშაოების განსახორციელებლად.

კონტაქტები

საქართველო: მნიშვნელოვანი წვლილი

კოსმოსის ათვისების პროგრამაში

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომეტის“ წამყვან რუს სპეციალისტთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან გენერალური დირექტორი — გენერალური კონსტრუქტორი, აკადემიკოსი ა. სავინი, ასოციაცია „კოსმოს-სოიუზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე საერთაშორისო აკადემია „ევრაზიის“ აკადემიკოსი მ. ზაქსონი. მოწვევას გამოეხმაურნენ და საქართველოს დედაქალაქში ასევე ჩამოვიდნენ დასავლეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები: კომპანია „ვალემარის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი გ. კინტერაია, შვეიცარიის კომპანია „პლან მარინეს“ ვიცე-პრეზიდენტი შ. ვაბდლერი, საფრანგეთის ფირმა „ინტერნეიშნლ მარიტაიმ ეიჯენსის“ მმართველი დირექტორი ნ. კოსტიუკოვი, ლიხტენშტეინის კომპანია „ვალემარ შიპინგ ენდ ტრეიდინგის“ ვიცე-დირექტორი პ. ლაპი.

სტუმრები მიიღო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ჯაფარიძემ. გაიმართა აზრთა გაზიარება კოსმოსური კავშირის საშუალებათა შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლის დარგშიც საქართველოს საკმაო გამოცდილება აქვს შეძენილი.

შემდეგ ორივე დელეგაციის წევრები იყვნენ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, სადაც შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერის მოადგილეს ა. მარგიანს. მან დამსწრეთ აღუთქვა, რომ რესპუბლიკის მთავრობა კოსმოსური კავშირის სისტემათა შექმნის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტისადმი დიდ ინტერესს იჩენს და თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს, რათა იგი წარმატებით განხორციელდეს.

მიღება სახელმწიფოს მეთაურთან

4 ივლისს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მისივე მიწვევით თბილისში მყოფი რუსეთის კოსმოსური ფირმის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან გენერალური დირექტორი — გენერალური კონსტრუქტორი, აკადემიკოსი ა. სავინი, ასოციაცია „კოსმოს-სოიუზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, საერთაშორისო აკადემია „ევრაზიის“ აკადემიკოსი მ. ზაქსონი, აგრეთვე დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

შეხვედრის დროს შეეხნენ კოსმოსური კავშირის სისტემის შექმნის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხს, კავშირისა, რომლის პარტნიორები იყვნენ დღემდე და ახლაც უკვე დაახლოებით ორი ათწლეულია არ წყვეტენ ერთობლივ სამუშაოებს, ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომეტა“, ასოციაცია „კოსმოს-სოიუზი“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი. შეხვედრის დროს ახსნა-განმარტებებს იძლეოდა ამ ინსტიტუტის დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი, სპეციალურ კონსტრუქციათა კათედრის გამგე პროფესორი ე. მეძმარიაშვილი, რომელმაც სახელმწიფოს მეთაურს აცნობა, რომ რუსეთის კოსმოსურ ფირმასა და მის ინსტიტუტს შორის უახლოეს ხანში დაიდება ხელშეკრულება ახალი თაობის კონსტრუქციათა შემუშავებისა და წარმოების შესახებ. მაგრამ, იმისათვის, რომ პროექტი, რომელსაც სხვათა შორის თავის დროზე კოსმოსური სივრცისა და აერონავტიკის ეროვნული ასოციაციის ამერიკელმა ექსპერტებმა უწოდეს თანამედროვე ტექნოლოგიათა თვალსაჩინო პროექტი, მთელი ძალით ამუშავდეს, საჭიროა საკმაო თანხები.

საუბრის მონაწილე დასავლელმა ბიზნესმენებმა განაცხადეს, რომ მზად არიან დააფინანსონ პროექტი იმ შემთხვევაში, თუ მტკიცე გარანტიებს მიიღებენ.

თავის გამოსვლაში ე. შევარდნაძემ, რომლის ინიციატივითაც ოთხმოციანი წლების დამდეგს საქართველოში შეიქმნა სრულიად ახალი დარგის საფუძველი, აღნიშნა, რომ რუსეთისა და საქართველოს კავშირის კოსმოსურ საშუალებათა შემქმნელებს შორის კონტაქტებს დიდი ხნის ისტორია აქვთ და წარმატებით ვითარდება ამჟამად. ამიტომ ამ პროექტის აქტუალობისა და უდავო პერსპექტიულობის იდეა არავითარ ეჭვს არ იწვევს. საკმაოდ მძიმე ვითარების მიუხედავად, რასაც ახლა რესპუბლიკის ეკონომიკა განიცდის, — თქვა დასასრულ სახელმწიფოს მეთაურმა, — შეიძლება მივცეთ ამგვარი გარანტიები აღნიშნული პროგრამის რეალიზაციის თანმხლებ გარემოებათა ყოველმხრივი განხილვის პირობებში.

შეხვედრაში მონაწილეობდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ა. მარგიანი.

• • •

იმავე დღეს სტუმრები იყვნენ საგურამოში, სადაც დაათვალიერეს დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციებისა და რადიოტელესკოპის შექმნისა და გამოცდის უნიკალური ექსპერიმენტული სასტენდო კომპლექსი.

საქინფორმი.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ბოლო სხდომის შესახებ

1995 წლის 3 ივლისს გაიმართა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ბოლო სხდომა, რომელსაც უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ-ნი გ. ინწკირველი. მოხსენება სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგების შესახებ, რომელიც ეხებოდა ცალკეულ მუხლებში ცვლილებებსა და დამატებებს, გააკეთა კომისიის მდივანმა ბ-მა ა. დემეტრაშვილმა.

ამ ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებთან დაკავშირებით გაიმართა მწვავე კამათი.

ცვლილებები განიცადეს იმ მუხლებმა, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებას. კერძოდ, შესწორებები იქნა შეტანილი სენატის ფორმირებასა და კომპეტენციაში. როგორც გამონაკლისი, სენატის პირველი არჩევნები ჩატარდება მაჟორიტარული სისტემით 4 წლის ვადით, ყოველი რაიონი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი აირჩევს სენატორს. ასევე შეტანილ იქნა ცვლილებები რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების წესში, რომელიც ნაცვლად შერეული სისტემისა აირჩევა მხოლოდ პროპორციული სისტემით. ამასთანავე ცვლილება განიცადა თავმა „სასამართლო ხელისუფლება“. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან, რომელთა სამ-სამი წევრს 10 წლის ვადით ნიშნავს რესპუბლიკის საბჭო, სენატი და რესპუბლიკის პრეზიდენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეებს ნაცვლად რესპუბლიკის საბჭოსი, ირჩევს სენატი. უცვლელი დარჩა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ასევე უცვლელი დარჩა ის საკითხები, რომლებიც შეეხებოდა ბიუჯეტის ფორმირებასა და დამტკიცებას, ადამიანის სიკვდილით დასჯას.

ბოლოს, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ შეაჯამა კომსიის მიერ გაწეული მუშაობა და საკითხი კენჭისყრისათვის დააყენა. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მოწონებულ იქნა კომისიის მიერ და წარედგნა პარლამენტს განსახილველად.

კენჭისყრის დროს სახელმწიფოს მეთაურის მიერ წარდგენილ პროექტს მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო კომისიის 61 წევრმა, წინააღმდეგი იყო 4.

კონსტიტუციური პროცესის საორგანიზაციო სამსახურის იურისტთა ჯგუფი.

რუსეთის პრესის სარკეში

„ფულისუფლების“ ხელისუფლება

„იზვესტიამ“ დასვა აქტუალური კითხვა: „რა ღირს ადგილი სათათბიროში?“ და მას ასე უპასუხა: „თუ 1993 წლის ნოემბერში ბიზნესმენის ადგილი საარჩევნო პარტიულ სიაში 300-400 მილიონი რუბლი ღირდა, დღეს სტარტზე დადგომის მსურველებს რამდენჯერმე მეტის გადახდა მოუწევთ. მაგრამ, თავისი ეკონომიკური ინტერესების პოლიტიკური საშუალებებით დაცვის საჭიროება საქმიან წრეებს კარნახობს არ შეუშინდნენ ხარჯებს“. საინტერესოა, ჩვენთან როგორღაა საქმე?

დებატებიდან ხელისუფლების შესახებ მე გამოვყოფდი **„მოსკოვსკიე ნოვოსტის“** ს. კისელევის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. როდესაც პრემიერ-მინისტრმა ჩამოაყალიბა პარტია „ჩვენი სახლია რუსეთი“, ამით შექმნა **უფროსების პარტია და ააგო რეგიონების მაკონტროლებელი ძალაუფლებრივი ვერტიკალი,** რაზეც მუდამ ოცნებობდა ბორის ელცინი. „როგორც აღმოჩნდა, გაზსადენი მილები ნებისმიერ კანცელარიაზე უკეთ გადასცემენ რეგიონებს მოსკოვის ნებას... უარის თქმას მოსდევდა შეტყობინება, დავალიანების გამო, რეგიონში გაზის მიწოდების შემცირების შესახებ. მილი, როგორც სახელმწიფოს მართვის საშუალება — ჩერნომირდინის აღმოჩენაა და ღირსია ცალკე თავი დაეთმოს პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოებში“.

თუმცა სათანადოდ ვაფასებთ ამ ხატოვან განსაზღვრებას, მაგრამ, მაინც, ჩერნომირდინისადმი მიწერილ „მეთოდს“ აღმოჩენად ვერ ჩავთვლი. ცნობილია, რომ მსოფლიოს დღეს მართავს პოლიტიკა, რომელიც „ენერგეტიკულ დიქტატს“, ე. ი. ისევ და ისევ ფულს ემყარება.

გაზეთმა **„პრავდამ“** კვლავ შეიკედლა ჟირინოვსკი, ვინაიდან იზიარებს მის აზრს რეფორმების შეწყვეტისა და „ძლიერი სახელმწიფო სექტორის“ აღორძინების აუცილებლობის შესახებ. ჟირინოვსკი იმუქრება, რომ არჩევნების ადგილს დაიჭერს საგანგებო ვითარება და, როგორც მან თქვა **„შენელებული სამოქალაქო ომი“**. ეს ერთადერთი უნიკალური შემთხვევაა, როცა ჟირინოვსკის შეიძლება დაეთანხმო.

როგორც რუსეთის ყველა გაზეთი იტყობინება, ახლა აბობოქრდნენ ყირიმელი თათრები. ჯერჯერობით ამის მიზეზები ეკონომიკური ძალმომრეობისა და რეკეტის წინააღმდეგ პროტესტებით შემოიფარგლება. მაგრამ, გაზეთი **„ტრუდი“** არ იზიარებს ამ მოსაზრებას და თვლის, რომ „ყირიმელი თათრების **აჯანყების პროვოცირებას ახდენენ გარკვეული პოლიტიკური ძალები, რათა ყირიმის ნახევარკუნძული ახალ ცხელ წერტილად გადააქციონ“.** თუ რა ძალებია ეს, გაზეთი არ აზუსტებს.

„კომსომოლსკაია პრავდა“ იუწყება, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება ბასაევის ამნისტიის სასარგებლოდ. „ანმლაგი არ გამოვიდა. ბევრნი აღშფოთებას გამოთქვამდნენ, ამბობდნენ, რომ ჩეჩნეთის ომის ოპოზიცია სულაც ტერორისტების წაქეზებას არ ნიშნავს“. ს. კოვალიოვის აზრით, ბასაევს დანაშაული იმიტომ უნდა ეპატიოს, რომ ასეთი რამ შეიძლება არცთუ ცუდმა ადამიანებმაც ჩაიდინონ“(?). მაგრამ ზოგიერთის შეხედულებით დეპუტატები მარტო ჰუმანურმა მოსაზრებებმა როდი აალელვა. ბასაევს შეუძლია ზოგი რამ თქვას მისი აფხაზური „ეპოპეის“ რუსეთელ „სპონსორთა“ შესახებ.

„მოსკოვსკი კომსომოლეცის“ შეხედულება გროზნოში და ჩეჩნეთის კაზაკთა სტანიცებში არსებულ ვითარებაზე პესიმისტურია: „გროზნო ხელახლა ასაღებია“.

„იზვესტიის“ დასკვნით ჟურნალისტები ბევრად უკეთ მუშაობენ, ვიდრე სამართალდამცავი ორგანოები, რომელთაც შამილ ბასაევის გლობალური ძებნა გამოაცხადეს: ის წარმატებით აღწევს თავს ძებნას, მაგრამ გამუდმებით იძლევა ინტერვიუებს.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ იტყობინება ბუდიონოვსკის მოვლენების ერთ დამახასიათებელ, მანამდე უცნობ დეტალს: „ჩეჩნების ოჯახებში ძირითადად ქალები, ბავშვები, მოხუცები დარჩნენ. დაღამებისას მათი დიდი ჯგუფი შინაგან საქმეთა განყოფილების შენობასთან მიიყვანეს [illegible] ჩაკეტეს [illegible]

მე-2 გვ.

ჩემი თანამედროვე

წვართა სულისა,

ანუ, ღმერთო,
არ მომაკლო გასაჭირი

მე-4 გვ.

პარლამენტარის აზრი

გულზე მჯიღის ცემით საქმეს ვერ ვუშველით

საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური ცვლილებათა გარდამავალ პერიოდში უმთავრესი ადგილი უკავია იმას, თუ ქვეყნის ხელისუფლებას რამდენად ძალუძს ეს პროცესი ხალხისათვის ნაკლებად მტკივნეული და რაც შეიძლება მართვადი გახადოს, როგორც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელს, მიმაჩნია: სწორედ ეს მომენტი გვიჭირს ყველაზე მეტად. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე დღეებში ისე დავიწყეთ არსებულის ნგრევა და განადგურება, ახლის აშენების უბრალო მონახაზიც არ გვქონია. ალბათ იშვიათია ქვეყანა, ჩვენსავით ერთი ხელის დაკვრით გაეცამტვერებინა წლობით ნალოლიავები საზოგადოებრივი ქონება. საერთო არევ-დარევით კი ყველაზე მეტად რიგითი ადამიანები დაზარალდნენ, რომლებსაც ეროვნული სიმდიდრის ამ ქაოსური გადანაწილების პროცესში საარსებო საშუალების მინიმუმიც კი მოესპო. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ასეთ მიზეზებს მარტო ობიექტურს ვერ ვუწოდებთ. მათზე პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ვიკისროთ, ერმაც და ბერმაც საქვეყნო საქმეზე ერთად უნდა იზრუნოს.

ზოგადი მსჯელობითა და გულზე მჯიღის ცემით საქმეს რომ ვერ ვუშველით, ამაში ბევრჯერ დავრწმუნდით. საჭიროა კონკრეტული წინადადებებიდან გამომდინარე პრინციპული პოზიციების შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება. და ეს უპირველესად ჩვენ — ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლებს გვეხება.

დღიდან პარლამენტში მოსვლისა, იმ დეპუტატთა შორის ვარ, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს და პასუხისმგებლობის ტვირთსაც ინაწილებენ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარი კრიტიკული

(დასასრული მე-3 გვ.)

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კრიზისულ სიტუაციაში ჩააყენა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების სისტემა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირება. ხელისუფლების მაქსიმალური ძალისხმევისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების მიუხედავად პრაქტიკულად გაჩერებულია სამედიცინო დახმარების მთელი რიგი დარგები, რამაც გამოიწვია დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესება. გაიზარდა ავადობის მაჩვენებლები, შემცირდა შობადობა, მოიმატა სოციალურად საშიშ დაავადებათა რიცხვმა.

ქვეყანაში ჩამოყალიბდა „ველური“ სამედიცინო ბაზარი, სადაც პრაქტიკულად ყოველგვარი სამედიცინო დახმარება ფასიანია. უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა უსახსრობის გამო ვერ ღებულობს აუცილებელ სამედიცინო დახმარებას. დარგში მოძველებული ეკონომიკური მექანიზმის მოუქნელობა ვერ იძლევა გამოყოფილი მწირი სახსრების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობას. ასეთი მდგომარეობის შემდგომი გაგრძელება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შექმნილი მწვავე კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა ჯანდაცვის არსებული სისტემის ძირეული რეორგანიზება, პრინციპულად ისეთი ახალი მოდელის დროული ამოქმედება, რომელიც შეძლებს ერთი მხრივ, მოსახლეობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას სასიცოცხლოდ აუცილებელი ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარებით, ხოლო მეორე მხრივ, თვით სამედიცინო დარგის ოპტიმალურ განვითარებას.

ამ პირობებში საჭიროა სამედიცინო საბაზრო ურთიერთობების სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ამუშავება შესაბამისი სამართლებრივი ბაზისა და სახელმწიფო გარანტიების მწყობრი სისტემის შექმნით. გარდამავალ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დროებითი შეღავათების დაწესებას სამედიცინო დაწესებულებებისათვის, განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა. ამასთან ერთად, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფო ვალდებულებების განსაზღვრისა და პრიორიტეტების გამოკვეთისას პირველსავე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოციალურად საშიშ დაავადებებს (შიდსი, ტუბერკულოზი, ინფექციური და ფსიქიკური დაავადებები), დედათა და ბავშვთა სამედიცინო დახმარებას, ომის მონაწილეთა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მოცულობის დამატებით სამედიცინო დახმარების გაწევას სახელმწიფო ასიგნებების ხარჯზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ყველა სამედიცინო დაწესებულება, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, 1995 წლის 1 აგვისტომდე გადავიდეს სამეურნეოანგარიშიან ურთიერთობებზე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

2. „სახელმწიფო დაწესებულების“ კანონის მიღებამდე სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების იურიდიულ-სამართლებრივ ფორმად განისაზღვროს სახაზინო საწარმო და მისი ფუნქციონირების რეგულირება დროებით განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტიპობრივი წესდების შესაბამისად.

3. დაწესდეს, რომ სამედიცინო დაწესებულებათა დროებით რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ამასთან დაკავშირებით სამედიცინო დაწესებულებებს 1996 წლის ბოლომდე გადაუვადდეთ სასამართლოში სავალდებულო რეგისტრაციის ვადა.

4. სამედიცინო დაწესებულებებმა გაიარონ დროებითი რეგისტრაცია ამა წლის 10 აგვისტომდე.

10 აგვისტოდან ყველა არარეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულება ჩაითვალოს უკანონოდ და აიკრძალოს მათი ფუნქციონირება.

5. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სამეურნეოანგარიშიან ურთიერთობებზე გადასვლის პირველ ეტაპზე მოსახლეობის წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებად დადგინდეს დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამისა და სტანდარტების ფარგლებში მოსახლეობისათვის შემდეგ სახეობათა სამედიცინო დახმარების გადახდა:

— ორსულთა და ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სამედიცინო მეთვალყურეობა:

— ყველა სახის მშობიარობა;

— ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ყველა სახის მკურნალობა;

— ერთი წლიდან — თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვთა, ომის მონაწილეთა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის ურგენტული სამედიცინო დახმარება;

— ერთ წელზე მეტი ასაკის ბავშვთა სამედიცინო მეთვალყურეობა;

— სოციალურად საშიში დაავადებების (შიდსი, ტუბერკულოზი, ვენერიული და ინფექციური სნეულებანი) პროფილაქტიკა;

— სიცოცხლისათვის საშიში, კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა;

— ფტიზიატრიულ და ფსიქიატრიულ ავადმყოფთა ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო დახმარება;

— ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ინსულინით უფასოდ უზრუნველყოფა;

— ონკოინკურაბელურ ავადმყოფთა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით უფასოდ უზრუნველყოფა;

— კატასტროფებსა და ეპიდაფეთქებების კერაში მოხვედრილთა სამედიცინო დახმარება.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე განიხილოს ამ სამინისტროს სისტემის რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებათა დავალიანების მაჩვენებლები 1995 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით და გადაწყვიტოს მისი დაფარვის საკითხი.

7. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს განიხილონ და გადაწყვიტონ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებათა ანალოგიური დავალიანებების დაფარვა შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

8. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს გადაწყვიტონ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი ნუსხის მიხედვით მათ ტერიტორიაზე განლაგებული სასიცოცხლო მნიშვნელობის სამედიცინო დაწესებულებებისათვის 1996 წლის ბოლომდე კომუნალური გადასახადების 50 პროცენტის საბიუჯეტო ასიგნებებიდან დაფარვის საკითხი.

9. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

— მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი კატეგორიის გამოყოფის კრიტერიუმები და შეადგინოს მათი სიები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— მის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო ფონდებიდან გამოჰყოს აღნიშნული კატეგორიის პირებისათვის დამატებითი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისათვის საჭირო სახსრები.

10. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს;

— უზრუნველყოს სამედიცინო დახმარების ხარისხის მკაცრი კონტროლი და სამედიცინო დაწესებულებათა აკრედიტაცია და ლიცენზირება ქვეყნის ტერიტორიაზე;

— უზრუნველყოს საქართველოში შემოტანილი და საქართველოდან გატანილი სამკურნალწამლო საშუალებებისა და ავადმყოფის მოვლის საგნების ლიცენზირება და მათი ხარისხის კონტროლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

— შესაბამის დონორებთან შეთანხმებით შეიმუშაოს წინადადებები ჰუმანიტარული გზით შემოტანილი მედიკამენტების, კვების პროდუქტების, საწვავისა და სხვა საქონლის მონეტიზაციისა და მათი სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის შესახებ;

— შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის კატეგორიისათვის შესაბამისად გამოყოფილი სახსრების ფარგლებში შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად „უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის დამატებითი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის“ სახელმწიფო რესპუბლიკური პროგრამის პროექტი;

— 1 აგვისტომდე უზრუნველყოს სპეციალური სამედიცინო დაწესებულებების ორგანიზაცია უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გასაწევად;

— მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ქართული სამედიცინო მეცნიერების გადარჩენისა და განვითარების მოკლევადიანი (ორ-სამწლიანი) სახელმწიფო რესპუბლიკური პროგრამის პროექტი;

— მიმდინარე წლის ბოლომდე შეიმუშაოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სამედიცინო დაზღვევაზე გადაყვანის ღონისძიებათა გეგმა და შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების პროექტები;

— მიმდინარე წლის სექტემბრამდე უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ახალი მოდელის შესატყვისი სამმართველოსა და საკონტროლო სტრუქტურებისა და სამსახურების ჩამოყალიბების პროცესის დამთავრება და წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად.

11. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ არააკრედიტებული იურიდიული პირების სამედიცინო საქმიანობა და არალიცენზირებული სამკურნალწამლო საშუალებებისა და ავადმყოფის მოვლის საგნების ნებისმიერი ფორმით გავრცელება და გამოყენება.

12. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნას ჯანდაცვის სახელმწიფო ფონდი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციური არასაბიუჯეტო საფინანსო სამსახური. ფონდის მართვაში ფართოდ ჩაებან საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ფონდის საზოგადოებრივი სათათბიროს — უმაღლესი სამმართველო ორგანოსა და მზრუნველთა საბჭოს სახით. ფონდის ბიუჯეტი განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და დაისვას საკითხი მისი საქართველოს პარლამენტში განხილვის შესახებ. ფონდის ანგარიშები პერიოდულად გამოქვეყნდეს პრესაში. ფონდის შემოსავლები გათავისუფლდეს დაბეგვრისაგან და მოხმარდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების გაფართოებას. ფონდის შეღავათები არ გავრცელდეს მის კომერციულ პარტნიორებსა და კომერციულ სტრუქტურებზე.

13. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო ინსპექციას, საბაჟო დეპარტამენტს, ეროვნულ ბანკს, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის რესპუბლიკურ ფონდს უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში სახსრების შეუფერხებელი აკუმულაციის ორგანიზაცია დადგენილი წესით.

14. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაამტკიცოს და უზრუნველყოს სამედიცინო დაწესებულებათა პრივატიზაცია სპეციალური პროგრამით საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ნუსხის შესაბამისად. ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულების პრივატიზაციიდან შემოსული სახსრები პრივატიზაციისათვის საჭირო ხარჯების გამოკლებით ჩაირიცხოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში.

15. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა, განათლების სამინისტროებს, სპორტის დეპარტამენტს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციასთან ერთად უზრუნველყონ მსოფლიო ბანკის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელება და პროპაგანდა.

16. დაევალოს ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს:

— ხელი შეუწყონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული სამედიცინო დაწესებულებების სამეურნეოანგარიშიან ურთიერთობებზე შეუფერხებელ გადასვლას მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო და რაიონული ორგანოების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული დებულებების მიხედვით;

— მიმდინარე წლის 10 აგვისტომდე სავალდებულო მინიმუმს შეუსაბამონ ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები და წარუდგინონ შესათანხმებლად საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს;

— 1995-96 წლის ზამთრის სეზონისათვის უზრუნველყონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული სასიცოცხლოდ აუცილებელი სამედიცინო დაწესებულებები ავტონომიური გათბობისა და ელექტრომომარაგების სისტემებით.

17. აიკრძალოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან მოქალაქეთა საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯების დაფარვა ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 ივლისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

მასობრივი პრივატიზაციის სრულყოფისა და მასში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

პრივატიზაციის პროცესში ქვეყანაში წვრილ და მსხვილ მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბება სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარების საფუძველს. საპრივატიზაციო ბარათების დარიგებით დაიწყო მასობრივი პრივატიზაციის პრაქტიკული განხორციელება. მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული რესპუბლიკაში საშუალო და მსხვილი სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდასაქმნელად. მიმდინარეობს საბარათო აუქციონების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს საშუალება მიეცემა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ქონების გადანაწილების პროცესში. ამასთან, ამ პროცესში შეიმჩნევა გარკვეული ხარვეზები. მათი აღმოფხვრისა და საპრივატიზაციო ბარათების მფლობელთა უფლებების რეალიზაციის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭომ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს მოქალაქეთა სიების დროული დაზუსტება.

2. საპრივატიზაციო ბარათების დარიგების პროცესის დაჩქარების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის, კავშირგაბმულობის სამინისტროს, „ახალი ქართული ბანკის“ დროული დაფინანსება, რათა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს მიეცეს საშუალება მიიღოს კუთვნილი საპრივატიზაციო ბარათი პირველი სპეციალიზებული საპრივატიზაციო აუქციონის ჩატარების თარიღისათვის.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ცხინვალის რეგიონიდან მოქალაქეთა სათანადო სიების წარმოდგენის შემთხვევაში გაიცეს საპრივატიზაციო ბარათები.

4. საპრივატიზაციო ბარათების მოქმედების პერიოდში (1995 წლის 1 თებერვალი — 1996 წლის 1 ივლისი) გარდაცვლილ მოქალაქეთა მემკვიდრეებზე, მშობლებზე, მეურვეებზე, მზრუნველებზე გაიცეს გარდაცვლილთა საპრივატიზაციო ბარათები.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს ინვალიდების, მარტოხელა პენსიონერების და შეზღუდულქმედუნარიანი მოქალაქეებისათვის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით საპრივატიზაციო ბარათების გადაცემა.

6. ნება დაერთოთ სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დაამოწმონ თავიანთ თანამშრომელთა, ხოლო სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს — მწოლიარე ავადმყოფთა მინდობილობები საპრივატიზაციო ბარათების მიღების უფლების სხვა პირზე გადაცემასთან დაკავშირებით.

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიოკორპორაციამ, გაზეთებმა: „საქართველოს რესპუბლიკამ“ და „სვობოდნაია გრუზიამ“ უზრუნველყონ მოსახლეობა სრულყოფილი ინფორმაციით სპეციალიზებულ საბარათო აუქციონზე წარმოდგენილი საწარმოების შესახებ.

8. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დამატებით გამოეყოს პრივატიზაციით მიღებული სახსრების საერთო ოდენობის 2 პროცენტი, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიოკორპორაციის დასაფინანსებლად, რათა მან სათანადო დონეზე მოახდინოს მასობრივი პრივატიზაციის ჩატარების ინფორმაციული უზრუნველყოფა.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა მოახდინოს დაფარული საპრივატიზაციო ბარათების შენახვის ღონისძიებათა უზრუნველყოფა.

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულებმა რეგიონებში, რაიონებისა და ქალაქების გამგეობების თავმჯდომარეებმა (მერებმა) საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ხელი შეუწყონ აუქციონების რეგიონალური ცენტრებისა და საპრივატიზაციო ბარათების მიმღები პუნქტების ამოქმედებასა და საქმიანობაში.

11. საქართველოს სახელმწიფო მმართველობის, აგრეთვე მარეგისტრირებელმა ორგანოებმა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ პრივატიზაციის სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდების დაფუძნებას და საქმიანობას მათთვის სარეგისტრაციო პროცედურის დაჩქარების, საჭირო შენობების მიზნობრივად გამოყოფის, ფონდის მმართველების, სააუდიტორო ფირმების, დეპოზიტარების ქსელის და სხვა ინფრასტრუქტურის შექმნის წახალისების გზით.

12. საპრივატიზაციო ბარათებზე მოთხოვნის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ უზრუნველყოს საბარათო აუქციონებზე და კონკურსებზე ცალკეული საპრივატიზაციო ობიექტების და აქციათა პაკეტების დროული გატანა.

13. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების პროექტი პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის საწარმოთა აუქციონირებისა და პრივატიზების შესახებ.

14. დადგინდეს, რომ აეროდრომებისა და აეროპორტების ბაზაზე დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებებში საწესდებო კაპიტალის აქციების არანაკლებ 51 პროცენტი დარჩეს სახელმწიფოს განკარგულებაში.

15. ერთი თვის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით:

— უზრუნველყოს მასობრივი პრივატიზაციის არსებული ნორმატიული ბაზის „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად აუცილებელი წინადადებების წარდგენა მინისტრთა კაბინეტისათვის, ასევე სათანადო მეთოდიკური და ინსტრუქციული მასალების მომზადება;

— წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დებულების პროექტი სააქციო საზოგადოებების (რომლებშიც სახელმწიფოს წილი გააჩნია) სამეთვალყურეო საბჭოებში სახელმწიფო წარმომადგენლების უფლება-მოვალეობებისა და მათი დანიშვნის წესის შესახებ ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით.

16. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ორი თვის ვადაში განიხილოს და წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონის პროექტი;

ერთი თვის ვადაში მოამზადოს წინადადებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა დაბეგვრის შესახებ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 21 ივნისი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

დ. ფოლადიშვილის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

ბოროტმოქმედებთან შეტაკების დროს გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის საქართველოს რესპუბლიკის ბოლნისის რაიონის პროკურორის თანაშემწე, პირველი კლასის იურისტი **დავით ფოლადიშვილი** დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 12 ივნისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

უმცროს ლეიტენანტ გ. ოდიშარიას ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სამხედრო განყოფილების ინსპექტორი უმცროსი ლეიტენანტი **გიორგი ოდიშარია** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ა. ხიზინავას ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსანდრე ხიზინავა ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

ალექსანდრე შალვას ძე ხიზინავა დაიბადა 1954 წელს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლეხაინეში.

1976 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრაზე, არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1994 წლიდან მუშაობს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს რეგიონული ეკონომიკის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

გ. თოდუას ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს გურამ თოდუა ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ე. შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

დ. გაგოშიძის ამბროლაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დავით გაგოშიძე ამბროლაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 4 ივლისი.

დავით ტუტულის ძე გაგოშიძე დაიბადა 1957 წლის 15 მაისს, ამბროლაურის რაიონის სოფ. პირველ ტოლაში.

1975 წ. დაამთავრა ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს საშუალო სკოლა. დაამთავრა ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი „საავტომობილო გზების“ სპეციალობით.

წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო-საკვლევ ინსტიტუტში ინჟინერ-გეოდეზისტად, ამბროლაურის 10 საგზაო-სარემონტო სამშენებლო /სამმართველოში უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, ამავე რაიონის სარემონტო სამშენებლო უბნის უფროსად, სამმართველოს უფროსად, არჩეული იყო ამბროლაურის რაიონის გამგეობის წევრად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ი. ფრუიძის ამბროლაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ირაკლი ფრუიძე ამბროლაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე

1995 წლის 4 ივლისი.

„ფულისუფლების“ ხელისუფლება

(დასასრული)

რივი ჩეჩნების მძევლებზე გაცვლის მცდელობას და მუქარას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დახვრეტდნენ, ბასაევმა ცივად უპასუხა: „ესენი ჩეჩნები არ არიან, რუსეთის მოქალაქეები არიან, გინდათ — დახვრიტეთ“.

ჩეჩნეთის ეპოპეის ამ, ისევე როგორც მრავალ სხვა „დეტალს“ ყოველკვირეული განაზოგადებს პირველ გვერდზე გამოტანილ ანოტაციაში: „ამ შვიდი თვის განმავლობაში ჩეჩნეთში დაიღუპა არა მარტო ასობით შეიარაღებული ადამიანი, ერთმანეთს რომ ესროდნენ, არამედ ათასობით ისეთი, არასოდეს იარაღს რომ არ მიჰკარებია — ქალები, ბავშვები, მოხუცები. განა მათ, დღეს კრემლში და „თეთრ სახლში“ რომ იმყოფებიან, არ იციან ამის შესახებ? ან იქნებ მათ მიაჩნიათ, რომ **„კონსტიტუციური წესრიგის აღდგენით“ დაღუპული ქალები, ბავშვები, მოხუცები სხვა ჯიშის ადამიანები არიან, ვიდრე ისინი, ვინც ჩეჩნეთის საზღვრის მეორე მხარეს ცხოვრობს და მათი სიცოცხლე ნაკლებად ფასობს?** რუსეთის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ჩეჩნეთთან და მის ხალხთან მხოლოდ ძალადობის ენით შეიძლება ლაპარაკი. ბუდიონოვსკში მათ პასუხი გასცეს იმავე, ყველასათვის მშობლიურ ენაზე...“

ჭეშმარიტად — „ვინც ქარს დასთესავს — ქარიშხალს მოიმკის“, თუმცა, ამ შემთხვევაში, არსებით სახელებს ამ აფორიზმში მე ადგილებს შევუცვლიდი.

ჟურნალისტთა ყველაზე გონივრული შეხედულებები ბასაევზე შეიძლება განვაზოგადოთ შემდეგ შეფასებაში: დივერსანტი და ბანდიტი, რომელიც რუსეთის უწესობებისა და სისულელეების ფონზე სახალხო გმირად მოსჩანს. და ყველაზე საგულისხმო ის არის, **რომ იბრძოდა რა აფხაზეთში რუსეთის არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ექსპერტების ხელმძღვანელობით, მან დღეს თავისი მრისხანება რუსი დამრიგებლების წინააღმდეგ მიმართა.**

ИЗВЕСТИ
ОБЩАЯ
НОВ
ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА
ЗАВТРА

მოულოდნელი ინფორმაცია გამოამზეურა სააგენტო „**იმა-პრესმა**“, რომელიც იმოწმებს ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“ მიერ ჩატარებულ გამოკვლევას. თურმე, **რუსეთელთა 51 პროცენტი მიიჩნევს, რომ საჭირო არ არის ჩეჩნეთის დატოვება რუსეთის შემადგენლობაში.**

რუსეთელი „პატრიოტები“ უფრო რადიკალურ მეთოდებს ემხრობიან. „იზვესტიის“ ცნობით, მთელ რიგ დიდ ქალაქებში ვრცელდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ **„გაძევებულ იქნენ კავკასიელ-აზიელი სტუმრები“ რუსეთიდან. ეს ახდენს დარბევების პროვოცირებას სიტუაციაში, როცა ეროვნებათაშორის ურთიერთობა ისედაც უკიდურესად გამწვავებულია ქვეყანაში.** ფურცლებს ხელს აწერს რუსეთის ეროვნულ-რესპუბლიკური პარტია, რომელსაც სათავეში უდგას სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ნიკოლოზ ლისენკო. ფურცლებში ნათქვამია, რომ შუა აზიიდან და კავკასიიდან გამოსულები „სიკვდილსა და ძალადობას“, თესენ, „მათ დაიპყრეს ჩვენი ქუჩები, ბაზრები...“ ამ არალეგიტიმურ პარტიას ეყო ფული არა მარტო ფურცლების ოთხმილიონიანი ტირაჟისათვის, რამედ გაზეთ „ნაშე ვრემიას“ გამოსაცემად და, აგრეთვე, გასამხედროებული ორგანიზაციის — „რუსეთის ეროვნული ლეგიონის“ შესანახად. „ლეგიონის ბოევიკებმა გამოცდილება შეიძინეს კონფლიქტებში — სამხრეთ ოსეთში დაწყებული, იუგოსლავიით დამთავრებული“. საინტერესოა, რომ ლისენკომ წინასაარჩევნო რეგისტრაციისათვის საჭირო ხმების რაოდენობა შეაგროვა თავისი ფულიანი შუამავლების მეშვეობით, რომლებიც „ამომრჩეველთა“ გვარებს აბანო-სამრეცხაოების კომბინატთა ქვითრებიდან იწერდნენ.

რუსეთის ყველა გაზეთი წერს წინასაარჩევნო პოლიტიკური დაძაბულობის შესახებ. ბუნებრივია, თითოეული გაზეთი კრიზისს „თავისი სამრეკლოდან“ ხედავს.

„მე მუდამ ძლიერ ხელისუფლებას ვემხრობოდი“. ასეთი სათაურით „**პრავდაში**“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ვ. შუმეიკო **თანამედროვე ხელისუფლების ძირითად ნაკლად მიიჩნევს ხელისუფლებასა და ხალხს შორის არსებულ ვეებერთელა დაშორებას. ხალხის ძალაუფლება ჭეშმარიტად მხოლოდ ერთხელ იჩენს თავს — როცა ხალხი არჩევნებზე მოდის.**

თუ თქვენ მოახერხებთ, რომ არ წააგოთ ამ არჩევნებზე და **ხელისუფლება უპასუხისმგებლო ავანტიურისტებს არ ჩააბაროთ,** არსებობს მტკიცე იმედი, რომ რუსეთი განვითარდება ბაზრის ბაზაზე. დაწყებული ეკონომიკური წინსვლა, სოციალური პროგრამების დაფინანსების ობიექტური შესაძლებლობები ამ ძალებს სამუდამოდ გზას დაუხშობს ხელისუფლებისაკენ, — წერს „**იზვესტიაში**“ ე. გაიდარი.

„**მოსკოვსკაია პრავდამ**“ გადაწყვიტა აჰყვეს იმპროვიზებული სოციოლოგიური გამოკვლევების მოდას. გაზეთის მიერ დასმულ კითხვაზე — „უახლოეს კვირას რომ გაიმართოს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები, ვის მისცემდით ხმას?“ — მკითხველებმა პირველ ნომრად გენერალი ლებედი დაასახელეს. შერისხული გენერლისათვის ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია პოლიტიკაში.

დასასრულს, ისევ „ხელისუფლების ფულებზე“, თუმცა (უკვე თუ ჯერ?) არარსებულზე. „**მოსკოვსკიე ნოვოსტის**“ მოჰყავს ამონაწერი იტალიელი კომუნისტის ჯანი ჩერვეტის წიგნიდან, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ გაჰქონდათ „მოსკოვის ოქრო“ ჩემოდნებით „**მოძმე პარტიების**“ ხელის გასამართავად. უცხოეთის ბანკებში ბინადადებული ეს ფული, უეჭველია, დღესაც იძლევა დივიდენდებს.

იური მოსეშვილი

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

ვარ პენსიონერი, მიწის გამანაწილებელმა კომისიამ მიმაკუთვნა მეორე კატეგორიას, მიწის ფართობი უნდა შემევსოთ 6.500 კვ.მ-მდე, მაგრამ 2.800 მეტრი დამაკლეს. მომიჯნავე ნაკვეთი მეზობელს აქვს უკანონოდ მითვისებული და მხოლოდ თვითონ სარგებლობს. ჩემი თხოვნა სამართლიანია, მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელობა უარს მეუბნება. ბ. გომართელი, საჩხერე, სოფ გორისა.

— **მინისტრთა** კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის № 290 და გენილებით თქვენ, როგორც მეორე კატეგორიის მოქალაქეს, კუთვნით სოფლის საერთო კრების, ან ყრილობის მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით განსაზღვრული მიწის ნაკვეთი. საერთო კრების მიერ, როგორც თქვენ წერთ, დადგენილია 6.500 კვ. მ., ამ ტომ თქვენზე რიცხული 0,25 ჰექტრის შესავსებად კანონიერ გეკუთვნით 4000 კვ.მ, რაც სოფლის მიწის რეფორმის კომის კომპეტენციაში შემოდის.

რაც შეეხება თქვენს დავას მეზობელთან, საკითხის გასარკვე უნდა მიმართოთ რაიონული გამგეობის შესაბამის სამსახურებს.

• • •

დავიბადე და აღვიზარდე სოფელ დარჩელში. ვარ 84 წლ მიწის გამანაწილებელმა კომისიამ, მე და ჩემს რძალს, გარდაც ლილი შვილის მეუღლეს, და მრავალშვილიან დედას, მოგვ ორი ჰექტარი. ჩემი ძმა დეპატრონა გზის პირას ორივე კომლის ვის მოხაზულ ნაკვეთს. გთხოვთ განმარტებას, ძმებმა როგორ გა ყოთ თანაბრად მიწის ნაკვეთი? ბ. ნაყოფია, ზუგდიდი, დარჩელი.

თქვენს მიერ დასმული საკითხი თქვენთვის და თქვენი ძმისა ვის მოზომილი მიწის ფართობის თანაბრად გაყოფის შესახებ, და განიხილოს ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა და მართლიანი გადაწყვეტილება მიიღონ.

გულზე მჯიღის ცემით საქმეს ვერ ვუშველით

(დასასრული)

ებულებები არ მქონდეს მიმ-
ნარე პოლიტიკური თუ სოცია-
ურ-ეკონომიკური პროცესების
მართ. საპარლამენტო უმრავლე-
ობისა თუ ოპოზიციის წარმომა-
გენელ კოლეგებთან ერთად აუც-
ლებლად მიმაჩნია საკანონმდებ-
ო და აღმასრულებელი ორგანო-
ბის საქმიანობის რადიკალურად
ცვლა, სახელმწიფო სტრუქტუ-
ების თვისებრივი და სტრუქტურ-
ო გარდაქმნა, პრაქტიკული ღო-
ისძიებების განხორციელება ქვე-
ანაში სახელმწიფო წესრიგის
დასამყარებლად, მოსახლეობისა-
ვის ცხოვრების ნორმალური პი-
რობების შესაქმნელად და სხვა.
რესპუბლიკის 1995 წლის სახე-
მწიფო ბიუჯეტის განხილვის
როს პარლამენტის ერთ-ერთ
დომაზე კონკრეტული წინადად-
ბა დავაყენე, რომ ქვეყნის საკან-
ნმდებლო და აღმასრულებელ
რგანოებს გარდამავალ პერიოდში
ავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე
დასვლისათვის გამოკვეთილად
რთვადი ხასიათი მიეცათ და მის
არკვეულ ეტაპზე საგანგებო ეკ-
ნომიკური რეჟიმი შემოეღოთ.

რატომღაც საგანგებო ეკონომიკური რეჟიმის ტერმინოლოგიაში ჩემი კოლეგების ერთმა ნაწილმა ძველი რეჟიმის ასოციაცია დაინახა და იგი არ გაიზიარა. თუმცა მაინც ბევრს ნიშნავდა ცოტა მოგვიანებით პარლამენტის მიერ თითქმის ერთხმად მიღებული დადგენილება რესპუბლიკის გარეთ ჯართის, ფერადი ლითონებისა და სხვა სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულის გატანის აკრძალვის შესახებ, რამაც, ვფიქრობ, დადებითი შედეგები უნდა მოგვცეს.

მიმაჩნია, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ რეალური შესაძლებლობების ამოქმედებას, რომლებიც ობიექტურ ფაქტორებს კი არ ეყრდნობა, არამედ თვითონ ჩვენზეა დამოკიდებული. საქმე უპირველესად ეხება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — პარლამენტის ქმედითობის ამაღლებას. სწორედ მისი ვალია შეიმუშაოს ისეთი საშემსრულებლო მექანიზმი, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება ყველა სამუშაო უბანზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაწესება. მუდმივი საპარლამენტო კომისიები სისტემატურ მაკონტროლებელ ფუნქციებს უნდა ასრულებდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიმართ, რაც დღესდღეობით არ ხდება. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს მეთაურისათვის დამატებითი უფლებამოსილების მიცემა სულაც არ ნიშნავს პარლამენტისათვის ამ უფლებების შესუსტებას.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, პირდაპირ უნდა ითქვას: ასეთი ფორმებით მუშაობა არსებული უმძაფრესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან ვერ გამოგვიყვანს. ჩემი აზრით, აქ უმთავრესი უნდა იყოს მათ მიერ მინდობილი უბნისა თუ საქმისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების პოზიციის გამომუშავება. შესაძლოა ეს საკითხი საკამათოც კი იყოს და ღმერთმა დაიფაროს, — რომელიმე მაღალი რანგის ხელმძღვანელს არასახელმწიფოებრივ პოზიციაში ვდებდე ბრალს, საქმე ეხება მათი მუშაობის შინაარს და შედეგებს. მინისტრთა კაბინეტმა ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე საკმაოდ სქელტანიანი პროგრამა და გეგმა შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად, მაგრამ ვერც ერთს ვერ ასრულებს. არადა, უფრო ლაკონურად და კონკრეტულად შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, როგორიცაა წარმოებაში უცხოური თუ ადგილობრივი კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბანდება, შემოსატანი ენერგოშემცველების სანაცვლოდ სახელმწიფოს ხელში არსებული პროდუქციის გადატვირთვა, საბაჟო სამსახურში წესრიგის დამყარება, ლიცენზიების გაცემისა და ეროვნული სიმდიდრის საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა, სოფლის მეურნეობისათვის რეალური პრიორიტეტის მინიჭება, საწვავის, მექანიზაციის, თესლის, ქიმიკატების შესაძენად ამ დარგში უცხოური და ადგილობრივი კრედიტების დაბანდება, უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სხვა.

რა თქმა უნდა, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მუშაობის გააქტიურებამ შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების ადეკვატური ქმედებანი უნდა მოგვცეს და, ვფიქრობ, ასეც იქნება.

ამ ღონისძიებებში უპირველესად ვგულისხმობ სახელმწიფო დისციპლინისა და საყოველთაო წესრიგიანობის დამკვიდრებას, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მარეგულირებელი როლის გაძლიერებას. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ისეთი საშემსრულებლო მექანიზმი, რომლის დროსაც თავისუფალი საბაზრო წარმოებითი ურთიერთობების პირობებში შესაძლებელი იქნება მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფა, მაგრამ რაც უნდა მობილური და პატრიოტულ ენთუზიაზმზე დაფუძნებული საგანგებო ეკონომიკური ღონისძიებები ჩავიფიქროთ, მათ განხორციელება არ უწერიათ, სანამ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება სტაბილური არ გახდება, ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი სახელმწიფო თუ კერძო საწარმო არ მუშაობს იმის შიშით, რომ მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას დამნაშავეთა სამყარო გადაანაწილებს.

ყველა ჩვენს ძალისხმევას შესაბამისი იდეოლოგიური ბაზით უზრუნველყოფა სჭირდება, რაც ხელისუფლებაში მოსული სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისა და მთლიანად ხალხის ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს. პარტიკულარიზმის ამბიციურმა მიდგომებმა საქვეყნო საქმეები არ უნდა შეიწიროს. ძნელია, მაგრამ სწორედ პარლამენტი უნდა გახდეს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ორგანიზატორი. ეს კი მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობისა და მისი ოპოზიციის ერთმანეთისაკენ მისასვლელი გზების ძიებითა და თანხმობით მოხდება.

სოსო მეგუთნიშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი.

ხიდები

„კარგი იქნებოდა, ჩვენც მიგვებაძა...“

ფიზიკის ინსტიტუტის დირექ-
ორს, აკადემიკოს გიორგი ხარ-
აძეს სამსახურებრივ კაბინეტში
საუბრებოდი. საწერ მაგიდაზე
რექტორს ახალი დაწერილი
ძანება იდო:
„კონდენსირებულ გარემოთა
ორიის განყოფილების უფ-
ოსი მეცნიერი თანამშრომე-
, აფხაზეთში გმირულად
ღუპული ბესო კიკვილაძე სამუ-
მოდ არის დატოვებული ინსტი-
ტის თანამშრომელთა სიაში და
93 წელს დაღუპვის მომენტი-
ან ბესო კიკვილაძის კუთვნილი
ფასი ოჯახს, ეძლეოდა.
აენიშნოს 1995 წლის იანვრი-
ბესო კიკვილაძის ოჯახს ყო-
ლთვიური შემწეობის სახით 10
ლიონი კუპონი ბავშვების სრუ-
წლოვანობამდე“.
ოკუმენტი იმითაც მგონია მნი-
ელოვანი, რომ ეგებ მას ზო-
ერთი დაწესებულების ხელმძღ-
ელი გაეცნოს, რომელიც, ვინ
ის, გულგრილობას იჩენდეს
გავს გარემოებაში...
ფიზიკის ინსტიტუტმა კიდევ
თი ნიჭიერი ახალგაზრდა მკვ-
ვარი დაკარგა იმ სასტიკ და,
ულაბ, უაზრო, გაუმართლებელ
ში. ეს ირაკლი ქიმერიძე გახლ-
თ, იმავე განყოფილებაში ბე-
ს გვერდით მომუშავე...
ამხანაგ გიორგი ხარაძე, მყარი
ულებისა და კვანტური სითხე-
ის გამოკვლევისადმი მიძღვნილი
თობით ნაშრომის ავტორი, მსოფ-
ოო მასშტაბით ცნობილი ფიზი-
ს-თეორეტიკოსი, ახალი დაბრუ-
ბული იყო ფინეთში სამეცნიე-
ო მივლინებიდან.
— ბატონო გიორგი! საზღვარ-
რეთის ქვეყნებთან საქართვე-
ლოს ურთიერთობებზე როცა ლაპარაკობენ, ფინეთი მგონი იშვიათად მოიხსენიება. აი, თქვენ, ფიზიკოსებს კი, რამდენადაც მსმენია დიდი ხნის კონტაქტები გაქვთ ფინელ კოლეგებთან...

— ჩვენი კონტაქტები 1979 წლიდან იწყება, როცა ფიზიკის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილისა და ჰელსინკის უნივერსიტეტის დაბალი ტემპერატურების ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის, პროფესორ ოლი ლოუნასმაას ინიციატივით დაიწყო თანამშრომლობა ქართულ-ფინური პროექტის ფარგლებში. ამ პროექტს შემოკლებით „როტა“ ეწოდა (სიტყვიდან „როტაცია“, რაც ბრუნვას ნიშნავს). აქვე ვიტყვით, რომ ფინელთა ლაბორატორიას ზედაბალი ტემპერატურების მიღების თვალსაზრისით მსოფლიო ლიდერის პოზიცია უკავია.

— უფრო დაწვრილებით ხომ არ გვიამბობდით ამ პროექტზე? და კიდევ — რაღა მაინცდამაინც ბრუნვა?

—ერთობლივი პროექტი მიზნად ისახავდა თხევადი ჰელიუმ-სამის ზედენადი თვისებების შესწავლას ტემპერატურის აბსოლუტური ნულის (ცელსიუსის შკალით მინუს 273 გრადუსის) მახლობლობაში.

ოციოდე წლის წინათ ამერიკელმა ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს ჰელიუმ-სამის ზედენადობის მოვლენა. ქართულ-ფინური პროექტის შექმნამდე ექსპერიმენტული კვლევა სტაციონარულ პირობებში მიმდინარეობდა უძრავ ჭურჭელში მოთავსებული სითხისათვის (1973-1980 წლები); თურმე თუ ზედენად სითხეს ბრუნვით მოძრაობას მივანიჭებთ, ის სრულიად იშვიათ თვისებებს იძენს, რომელთა შესწავლა მთავარი იყო „როტას“ პროგრამაში.

1980 წლის შემოდგომაზე ჰელსინკში უკვე ამოქმედდა უნიკალური დანადგარი, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ ქართველი ექსპერიმენტატორები ჯელილ წაქაძე და დევი ღარიბაშვილი. აქედან მოყოლებული, დანადგარის მეშვეობით მოპოვებული იქნა უზარმაზარი მასალა მბრუნავი ზედენადი სითხის თვისებებზე. შედეგები იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, რომ „როტას“ თანამონაწილენი გახდნენ მოსკოველი სპეციალისტები პეტრე კაპიცას სახელობის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტიდან და ლევ ლანდაუს სახელობის, თეორიული ფიზიკის ინსტიტუტიდან. ამჟამად „როტასთან“ ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა წამყვანი ლაბორატორია თანამშრომლობს დაბალი ტემპერატურების ფიზიკის დარგში.

„როტასათვის“ დამახასიათებელია თეორეტიკოსთა და ექსპერიმენტატორთა ძალზე აქტიური ერთობლივი მუშაობა. ჩვენი ინსტიტუტიდან თეორიულ ჯგუფში შევდიოდით ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ვაჩნაძე, მეცნიერებათა კანდიდატი ალეკო ღონღაძე და მე. ჯგუფის წევრი იყო მეცნიერებათა კანდიდატი ბესო კიკვილაძე. ჰელსინკში ჩატარებულ ექსპერიმენტებში მონაწილეობდნენ მეცნიერებათა კანდიდატები გიორგი თვალაშვილი, გიორგი მამნიაშვილი, ომარ მაღრაძე, ზაირა ნადირაშვილი და სევერიან წაქაძე (განსვენებული ჯელილ წაქაძის ვაჟი გახლავთ).

მბრუნავ ზედენად სითხეში წარმოიშობა ეგზოტიკური თვისებებით გამორჩეული გრიგალები. მათი თვისებები „როტას“ პროგრამით დეტალურად იყო შესწავლილი. შესაბამისი შედეგები ათეულობით ერთობლივ მეცნიერულ პუბლიკაციაში აისახა და მრავალ საერთაშორისო კონფერენციას მოხსენდა. აქვე აღვნიშნავ, სპეციალური სიმპოზიუმები ჩვენს ქვეყანაშიც გაიმართა: თელავში — 1980 წელს, მცხეთაში — 1983 წელს და თბილისში — 1988 წელს.

— ბატონო გიორგი, ვიცი, რომ ფინეთში არაერთგზის ბრძანებულხართ, ამ ბოლოს — მთელი ორი თვით. რა იყო ღირსშესანიშნავი, რომელ შთაბეჭდილებას გამოყოფდით?

— ღირსშესანიშნავი, პროფესიული თვალსაზრისით, ის იყო, რომ უახლოესი ორი-სამი წლის ერთობლივი კვლევის გეგმები მოვინიშნეთ. შთაბეჭდილებებს რაც შეეხება, ყველაზე დიდი, მე რომ გამომყვა, ეს არის ფინელების ინტენსიური, თავდავიწყებამდე მისული შრომა, რისი წყალობითაც ცხოვრების ბევრ სფეროში უმაღლეს მწვერვალებს მიაღწიეს. კარგი იქნებოდა, ჩვენც მიგვებაძა მათთვის, ფინელები მართლაც სამაგალითონი არიან შრომისადმი დამოკიდებულებით.

თამაზ ებანოიძე.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის კონფერენცია

4 ივლისს ბათუმში გაიმართა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის მეორე კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გაწეული პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შესახებ გააკეთა აღმასრულებელმა მდივანმა იური ბიბილეიშვილმა. სიტყვა წარმოთქვა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ. მან მიმოიხილა ქვეყანაში შექმნილი ვითარება და აღნიშნა, რომ ადამიანები ბოლო წლებში პოლიტიკური თუ სხვა მოვლენების მიმართ ინერტული გახდნენ. საჭიროა ვეძებოთ გზა აქტიური შემობრუნებისაკენ.

კონფერენციის დასასრულს აირჩიეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მეორე ყრილობის დელეგატები.

პრივატიზაცია

ბევრი რამ შესაცვლელია

ლანჩხუთის რაიონში დაფუძნებულ 14 სააქციო საზოგადოებას
ივატიზაციის ამ ძნელად გასავლელ გზაზე გარკვეული პრობლე-
ები შეექმნა. ამ საკითხზე შევხვდი და ვესაუბრე რაიონის სახელ-
იფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსს შალვა ნაჭყებ-
ას, რომელმაც განაცხადა:

— უკვე დაფუძნებულ სააქციო
ზოგადოებებში გამართული კრე-
ბის ანალიზი გვაფიქრებინებს,
მ მათ გაუჭირდებათ აქციათა
ონტროლო პაკეტის გამოსყიდვა.
ზეზი აქ მრავალგვარია. არის
დამიანების ჯგუფი, რომელიც
ციალისტური ორიენტაციის (ე.
საერთო-სახალხო საკუთრების)
მხრეა, სხვებს სურთ აქციების
ძენა, მაგრამ სათანადო სახსრე-
არ გააჩნიათ და ცდილობენ
ნიშნული პროცესის დამუხრუჭ-
ბას. არიან ხელმძღვანელებიც,
ომლებიც გარეგნულად მხარს უჭ-
ნ აქციონირების დაჩქარებას,
ქმით კი არა. ამის მიზეზი, ერთი
რივ, ის გახლავთ, რომ ისინი ბო-
ომდე არ არიან გათვითცნობიე-
ებულნი, ხოლო მეორე მხრივ,
ა აქვთ იმედი შედეგის მიღები-
ა. შრომითი კოლექტივების წევ-
თა უმრავლესობა ინერტულობას
ენს. მათ არ იციან, როგორ
მოიყენონ საპრივატიზებო ბარა-
ები (ვაუჩერები), დააბანდონ სა-
უთარ საწარმოებში თუ გაასხვი-
ონ.
რეფორმა რომ დაჩქარდეს და
ეკვატური უკუგება მოგვცეს
ხელმწიფო ბიუჯეტის სასარგე-
ლოდ, საჭიროა საწარმო მუშა-
ბდეს. სამწუხაროდ, ზოგიერთი
რივატიზებული ობიექტი არ მუ-
აობს და ჯერჯერობით არც არსე-
ობს მექანიზმი, რომლის მეშვე-
ბით შეიძლება მესაკუთრე დაინ-
ერესდეს. ისე, უნდა გამარტივდ-
ს საპრივატიზებო ობიექტების
ამტკიცების არსებული სისტემა
ა ადგილობრივ გამგეობებს მი-
ცეთ გარკვეული კატეგორიის
ბიექტების პრივატიზების უფლე-
თავისი გადაწყვეტილებით.
ღეს მინისტრთა კაბინეტის
სხდომაზე ობიექტებს წარდგენა და დამტკიცება ფორმალურ ხასიათს ატარებს და დიდ დროს გვაკარგვინებს. იყო შემთხვევები, როცა ობიექტის მყიდველი გამოჩნდა, მაგრამ სანამ ჩვენ წარვადგინეთ ობიექტი და დადგენილება გამოვიდა, პოტენციური მყიდველი დავკარგეთ. ვფიქრობ, საპრივატიზებო ობიექტების შეთანხმება ზემდგომ ორგანოებთან, სამინისტროებსა და უწყებებთან ხელის შემშლელი ბარიერია პრივატიზების გზაზე და ეს პრაქტიკა უნდა შეიცვალოს, სერიოზულ გადახედვას მოითხოვს ობიექტების შეფასების არსებული მეთოდიკა. ამერიკული დოლარებით ქონების შეფასება გასაგებია კუპონისა და რუსული რუბლის მზარდი ინფლაციის პირობებში, მაგრამ უნდა შეიცვალოს კოეფიციენტები — შემცირების ტენდენციით, რითაც გაიზრდება პოტენციურ მესაკუთრეთა ინტერესები და მოსახლეობის ისედაც გაჭირვებულ ფენას შეეძლება ამა თუ იმ ობიექტის შესყიდვა. რათა დავაინტერესოთ დაფუძნებული სააქციო საზოგადოებები, საჭიროა მათთვის უცხოეთიდან მიღებული მიზნობრივი კრედიტების გადანაწილება. მოგეხსენებათ, სააქციო საზოგადოებებს, შრომით კოლექტივებს უჭირთ გამოსყიდვა იმ შეღავათებითაც კი, რაც სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით არის გათვალისწინებული. რეფორმას ხელს უშლის ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული კრიმინოგენული მდგომარეობა, საქმე, მართალია, გაუმჯობესებისაკენ მიდის, მაგრამ რისკის ფაქტორი ჯერ კიდევ დიდია.

ზურაბ ვადაჭკორია.

წარსულიდან

ქართული ჯარის ისტორიისათვის

რუსეთში 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ შეამზადა პირობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს არსებობა კი წარმოუდგენელი იყო ეროვნული არმიის შეუქმნელად, რასაც ჯეროვნად აცნობიერებდნენ იმჟამინდელ საქართველოში. ეროვნული შეიარაღებული ძალების მშენებლობა საქართველოში არცთუ „აუხდენელი ოცნება“ გახლდათ, მას გააჩნდა რეალური ბაზა. საქმე ის არის, რომ ყოფილი იმპერიის სამხედრო ინტელიგენციის საკმაოდ მრავალრიცხოვან ბირთვს შეადგენდნენ ქართველი გენერლები და ოფიცრები — თავისი საქმის ბრწყინვალე პროფესიონალები, რომლებსაც შეეძლოთ უნარი ეროვნული არმიის შექმნისა. ქართველი სამხედროების მაღალი პროფესიონალიზმი, მათი მხედრული შემართება ჰქონდა მხედველობაში რუსეთის არმიის უმაღლეს მთავარსარდალს პირველი მსოფლიო ომის დროს, დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, როდესაც საქვეყნოდ აცხადებდა: „თითოეულ ჩემს ბრძოლაში ხუთი ქართველიც რომ ერიოს, ვიცი როგორ იომებდა ჩემი არმია“ (რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო. ჟურნალი „ცისკარი“ № 1, 1992 წ. გვ. 153).

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომების ოქმებში საყურადღებო ცნობებია დაცული ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების შესახებაც. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 27 თებერვლის № 35-ე სხდომის ჟურნალში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია ჯარების რეორგანიზაციის საკითხებზე, დისციპლინის განმტკიცებაზე არმიაში, საკადრო პოლიტიკაზე, აგრეთვე, რაც მეტად მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია, ხაზგასმით არის მითითებული, რომ ჯარი არ უნდა იყოს რომელიმე პარტიის გავლენის ქვეშ. მოვიტანთ ნაწყვეტს ამ ოქმიდან. „საქართველოს ეროვნული საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი. სხდომის ჟურნალი № 35, 27 თებერვალი, 1918 წელი. სხდომას დაესწრნენ: ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, კ. მესხი, კ. გვარჯალაძე, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე, ი. მაჭავარიანი, ა. ასათიანი, გ. რცხილაძე, ი. ბარათაშვილი, ე. გეგეჭკორი. ესწრებოდნენ აგრეთვე მოწვეული სტუმრები. თავმჯდომარეობდა ნ. ჟორდანია.

I. 1. განსახილველი საგანი — ჯარის რეორგანიზაციის საკითხი. პოლკოვნიკმა კვინიტაძემ გაიმეორა მოხსენების უმთავრესი დებულებები. მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, მიღებულ იქნა ზოგიერთი მუხლები. განაჩენი: მიღებულია დებულებანი:

1) ჯარი არის ერთი, არაპარტიული, შიგ არ უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციები; 2) წესიერი დისციპლინა უნდა იქნეს აღდგენილი ჯარში; 3) ჯარისკაცთა კომიტეტების შესახებ კითხვა გადაუწყვეტელი დარჩეს.

III. განსახილველი საგანი. შტაბის ორგანიზაცია. 1) ქართული კორპუსის უფროსის არჩევა. კანდიდატების სია: გენერალი გაბაშვილი, ართმელაძე, გედევანიშვილი, ბენაშვილი, მაყაშვილი, ი. მაყაშვილი, წულუკიძე, ვ. წულუკიძე, არჯევანიძე, ერისთავი, გუნცაძე, ახმეტელაშვილი. განაჩენი: ეხლანდელი კორპუსის უფროსი პოლკოვნიკი ს. ახმეტელაშვილი განთავისუფლებულ იქნეს ამ თანამდებობისაგან. მის მაგივრად არჩეულ იქნა კორპუსის უფროსად გენერალი ვ. გაბაშვილი.

IV. 2. შტაბის უფროსმა ი. გედევანიშვილმა უარი განაცხადა თავის თანამდებობაზე. ასარჩევია შტაბის უფროსი. განაჩენი: ქართული კორპუსის შტაბის უფროსად არჩეულ იქნა პოლკოვნიკი ალ. ზაქარიაძე“ (ცსსა, ფონ. 1836, აღწ. 1, ს. 2, ფურცელი 47).

სერიოზული ყურადღება ექცეოდა საზღვრისპირა ტერიტორიების და საქართველოს სამხედრო გზის დაცვის პრობლემასაც. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს სამხედრო გზის დაცვას კავკავამდე საქართველოს სთხოვდნენ ინგუშები და ოსები. ეს საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომაზე 1918 წლის 8 მარტს. გთავაზობთ ამ დოკუმენტს. „საქართველოს ეროვნული საბჭო. აღმასრულებელი კომიტეტი. სხდომის ჟურნალი № 36, 8 მარტს 1918 წ. განსახილველი საგანი. 3) კომიტეტმა იქონია მსჯელობა საქართველოს სამხედრო გზის დაცვის შესახებ კავკავამდე რასაც თხოულობენ ინგუშები და ოსები. განაჩენი: დაევალოს სამხედრო სექციას და კორპუსის შტაბს, თუ საჭიროდ დაინახავენ ჩააყენონ ქართველი ჯარისკაცები ინგუშებთან და ოსებთან ერთად კავკავამდე“. ამავე სხდომაზე გადაწყდა დაეკმაყოფილებინათ ხევსურების თხოვნა მათთვის თოფების დარიგების შესახებ მეზობლებისგან თავდასხმების მოგერიების მიზნით. ამ თხოვნის დაკმაყოფილება აუცილებელი იყო, რადგანაც ხევსურეთი როგორც საზღვრისპირა რეგიონი არცთუ იშვიათად მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიელ მთიელთა თავდასხმების ობიექტს წარმოადგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალმა გაბაშვილმა განაცხადა, რომ „საჭიროა მიეცეს თოფები ხევსურებს, რადგანაც მეზობლებისაგან მოელით შიში, ამასთანავე ხევსურები აცხადებენ, რომ ისინი მობილიზაციაში გამოვლენ თუ შინ დარჩენილთ იარაღი ექნებათ ოჯახის დასაცავად“. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „მობილიზაციით გაწვეულნი ხევსურნი მიღებულ იქნენ ჯარში, ხოლო დანარჩენებს მიეცეთ თოფები“ (იქვე, ფურც. 49).

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 17 მაისის სხდომაზე იმსჯელეს დამოუკიდებლობის გამოცხადების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ, აგრეთვე საგანგებო ყურადღება დაეთმო სამხედრო საკითხებს, სახელდობრ თბილისის საიმედოდ დაცვას. მიიღეს გადაწყვეტილება: „1. უნდა გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები ქ. თბილისში. 2.თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ახმეტელი, მის თანაშემწედ პოლკოვნიკი ნაჭერალაძე, რომელთაც უნდა იმუშაონ ქართული კორპუსის უფროსის გენერალ გაბაშვილის ხელმძღვანელობით“. (იქვე, ფურც. 71). შემოთავაზებული საარქივო მასალები, ვფიქრობთ, გარკვეულ დახმარებას გაუწევენ ყველას ვინც დაინტერესებულია ქართული ჯარის ისტორიით. მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ქართული სამხედრო აზროვნების, ჩვენი სახელოვანი მხედართმთავრების მოღვაწეობის სათანადოდ წარმოჩენა, აგრეთვე ქართული სამხედრო ხელოვნების ჯეროვან მეცნიერულ დონეზე შესწავლა და განზოგადება დღევანდელობის მოთხოვნაა. მუშაობა ამ ხაზით უნდა გაძლიერდეს. ამ კეთილშობილურ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სამხედრო უწყების შესაბამისმა სტრუქტურებმა. აქვე სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობა უკვე შეუდგა მუშაობას ამ მიმართულებით, რაც უახლოეს მომავალში ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდება.

ბელა ხუციშვილი,
საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდლის მოადგილე, კაპიტანი.

გურამ შენგელია,
საქართველოს სასაზღვრო ჯარების კონსულტანტი, დოცენტი.

სინამდვილე კი ასეთია

აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ქართველური ტომები ამ ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. ძველ ბერძნულ და ქართულ წყაროებში ამის შესახებ უამრავი მასალაა დაცული. უფრო მოგვიანებით, ბერძნულის გარდა, სხვა უცხოური წყაროებიც ძირითადად ამასვე ადასტურებენ.

აფხაზეთის ეთნოგენეზის, მათი წარმომავლობის პრობლემა მეტად რთულია. მართალია, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების ეთნიკური კუთვნილების შესწავლას მრავალი წლის ისტორია აქვს, ამ საკითხზე ბევრი ნაშრომიც დაიწერა, მაგრამ სწორედ სირთულის გამო პრობლემა ერთხელ და საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

ამჟამად აფხაზების ეთნოგენეზის შესახებ არსებულ მოსაზრებებს რამდენიმე ჯგუფად ყოფენ. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ აფხაზები მცირეაზიული, ჩრდილოკავკასიური, ადგილობრივი და ქართველური წარმოშობის ტომეში არიან. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადრეულ საუკუნეებში აფხაზეთში მოსახლე აფსილები და აბაზგები, რომლებსაც აფხაზების წინაპრებადაც თვლიან, „ისეთივე ქართველური ტომები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახლე ეგრები (ლაზები), სვანები და სხვა ტომები, ხოლო თანამედროვე აფხაზები გვიან, XVII და მომდევნო საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან“ (მ. ლორთქიფანიძე). ჩვენ მხარს სწორედ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვუჭერთ. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუების ნაწილი შერია ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ამავე დროს, აფხაზების ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, არსებული წყაროები უტყუარად მოწმობენ, რომ „ისინი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოებრივ-კულტურულ სამყაროში იმყოფებოდნენ და ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ“ (მ. ლორთქიფანიძე).

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხილული ბევრი საკითხი სცილდება ჩვენს კომპეტენციას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აფხაზეთის ისტორიულ-დემოგრაფიული შესწავლა, აფხაზეთის მოსახლეობის პრობლემების კვლევა შეუძლებელია ამ საკითხებზე სხვადასხვა მეცნიერებაში არსებული მოსაზრებების შეჯერებისა და ანალიზის გარეშე, რითაც ჩვენც ვიხელმძღვანელეთ წინამდებარე ნაშრომში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ისტორიის საკითხების მეტად ტენდენციურ კვლევას სათავე დაუდო დ. გულიასა და ს. აშხაცავას 1925 წელს გამოცემულმა „შრომებმა“: „აფხაზეთის ისტორია“ და „აფხაზეთის ისტორიის განვითარების გზები“. დ. გულია და ს. აშხაცავა საკვლევ საკითხებში უაღრესად პრიმიტიულ ცოდნას ამჟღავნებენ და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ისინი არა მარტო ტენდენციურად და ულოგიკოდ განიხილავენ აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, არამედ ფაქტობრივად ხელყოფენ ქართულ კულტურას და ცდილობენ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მითვისებას. მათთვის მთავარია მიზანი და არა მეცნიერული სინდისი. მეტად საგულისხმოა, რომ დ. გულიას წიგნი თბილისში გამოიცა, ხოლო რეცენზიები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც დ. გულიას, ასევე ს. აშხაცავას „შრომებზე“ მხოლოდ პროფ. ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა და ისიც ჟურნალ „საქართველოს განათლების მუშაკში“. როგორც ჩანს, მაშინაც აფხაზურ თემაზე წერა არც ისე ადვილი იყო. შემდეგში დ. გულიასა და ს. აშხაცავას „ნაშრომები“ ზ. აგრბამ და ა. ხაშბამ გააკრიტიკეს ა. ფადეევის წიგნის „აფხაზეთის ისტორიის მოკლე ნარკვევის“ წინასიტყვაობაში. მოვლენა რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი აღნიშნული ავტორების „შრომებიდან“.

დ. გულია თავისი წიგნის ათი თავიდან რვა თავს აფხაზების წარმოშობის საკითხს უთმობს. როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, ავტორის მიზანია დაამტკიცოს, რომ აფხაზები და მათი წინაპარი ჰენიოხები (ენიოხები) კოლხები არიან ეგვიპტიდან და უმთავრესად აბისინიიდან. კოლხების ეგვიპტიდან წარმოშობის შესახებ პირველად ისტორიკოსმა ჰეროდოტემ აღნიშნა, მაგრამ ეს აზრი დიდი ხანია მეცნიერებამ უარყო. ჰეროდოტეს არგუმენტები, რომ კოლხები მუქი კანის ფერისა და ხუჭუჭთმიანები არიან, რომ ისინი ისევე ამუშავებენ სელს და მიმართავენ წინადაცვეთას, როგორც ეგვიპტელები, არაფერს ნიშნავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს თვისებები მრავალ ხალხს ახასიათებს და არა მარტო ეგვიპტელებს.

დ. გულია ხედება, რომ მხოლოდ ჰეროდოტეს ჰიპოთეზა კოლხების წარმოშობის შესახებ არ არის საკმარისი და იგი ცდილობს თავისი თეზისი ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ანალოგიებით გაამაგროს. აქ უკვე დ. გულიას ზღაპრების სამყაროში გადავყავართ. მაგალითად, იგი ერთმანეთს ადარებს აფხაზურ და ეგვიპტურ გეოგრაფიულ სახელწოდებებს კოლხების ეგვიპტური წარმოშობის დასამტკიცებლად. კერძოდ, დ. გულია ამ მხრივ დიდ მსგავსებას ხედავს აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებას გუმას და ეგვიპტურ გუმმას შორის, გალსა და გალლას შორის და ა. შ. მაგრამ თუ ასეთ ფორმალურ შედარებებს გავაკეთებთ, მაშინ ანალოგიები შეიძლება გავატაროთ აფხაზეთსა და მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის. თუ „მსოფლიო ატლასს“ გავეცნობით, იქ „გალის“ მსგავს ათეულობით ეოგრაფიულ სახელწოდებას შევხვდებით, მაგალითად: გალა, გალანა, გალანტა, გალატი, გალაცი, გალიში, გალინა, გალიონი, გალიტი, გალიჩი და ა. შ. დ. გულია პარალელს უძებნის მდინარე აბაშას ეგვიპტეში, მაგრამ არის აგრეთვე ქალაქი აბეშე ჩადის რესპუბლიკაში. ჩრდილოკავკასიაში მცხოვრებ აბაზების ზუსტად მსგავსს ცნობილ გეოგრაფიულ სახელწოდებას „აბაზას“ ვხვდებით ალჟირში და სხვ. ამ შემთხვევაში ისღა დაგვრჩენია, რომ ვამტკიცოთ ნათესაობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებთან.

გულუბრყვილოა დ. გულიას მსჯელობა აფხაზური და ეგვიპტური ადამიანთა სახელების მსგავსების დასამტკიცებლად. მაგალითად, მას მოყავს აფხაზური და შემდეგ ეგვიპტური სახელები: ზასხან-ზასხალ, შაბატ-შაბაკუ, საბიდა-საბიტა, გუდიმ-ლუდიმ, გაბლია-გაბილია და სხვ. ასეთი მაგალითების მოტანით, მართლაც, შეგვეძლია ვამტკიცოთ, რომ ინდოეთში მილიონობით ქართველი ცხოვრობს, რადგან იქ გავრცელებული გვარები კაუნია, ტუნია, ულინია და სხვ. ჰგავს ქართულ გვარებს გაბუნიას, გუნიას და ალანიას. მაგრამ ამგვარ შედარებებში ჩვენ მეცნიერულს ვერაფერს ვხედავთ.

ზ. აგრბას და ა. ხაშბას მიხედვით მეტად სასაცილოა დ. გულიას ეთნოგრაფიული ანალოგები კოლხების აბისინიიდან და ეგვიპტიდან წარმოშობის შესახებ. მართლაც, თურმე მხოლოდ აფხაზები და აბისინიელები მიცვალებულს უხდიან ქელეხს, უაღრესად სტუმართმოყვარენი არიან, ახლობელის გარდაცვალების შემთხვევაში დიდხანს ატარებენ სამგლოვიარო ტანსაცმელს, საჭმელად იყენებენ წითელ წიწაკას და სხვა. დ. გულიას აზრით, ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ კოლხები (აფხაზები და მათი მონათესავე ტომები) წარმოშობით ეგვიპტიდან და აბისინიიდან, საერთოდ, აფრიკიდან არიან. როგორც ჩანს, დ. გულიას მაინც აწუხებს, რომ აფხაზების წინაპრები, რომლებიც აფრიკაში ცხოვრობდნენ, ზანგები ხომ არ იყვნენ და პასუხს ამ კითხვაზე თვითონვე სცემს: „ვფიქრობთ, რომ არა“.

ცოდნის პრიმიტიულ დონეზე იხილავს დ. გულია აფხაზური ენის წარმოშობის საკითხსაც. მისი აზრით, აფხაზურ ენას მსგავსება აქვს აფრიკის ენებთან. როგორც პროფ. ს. მაკალათია შენიშნავს, „ეგვიპტოლოგიიდან ავტორი გადავარდება ხეთოლოგიაში და ამტკიცებს აფხაზურ და ხეთურ ენის ნათესაობას... შემდეგ აფხაზური ლექსიკა შედარებულია აზიის და აფრიკის ყველა ძველ ენებთან და ავტორი მათ შორის საგულისხმიერო მსგავსებას აღნიშნავს.

ისე გამოდის, რომ აფხაზური რაღაც უნივერსალური ენა ყოფილა არაისტორიულ ხანაში, რომელზეც კაცობრიობა თურმე მეტყველებდა. შემდეგში ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განავრცეს სხვა აფხაზმა „მეცნიერებმა“, რომლებმაც უკვე „მონახეს“ აფხაზური ენის მსგავსება მექსიკურ, ტიბეტურ, ჩინურ და მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ენებთან. ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ სულ ახლახანს ს. ლაკობამ ერთ-ერთ თავის წიგნში განაცხადა: კაცობრიობა აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებსო, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობის შემდეგ, ბუნებრივია, დ. გულია ყოველგვარ ზომიერებას კარგავს და მისი გაგებით აფხაზების მეფე და კათალიკოსი „საქვეთმპყრობელი“ ყოფილან მთელ საქართველოსი და სომხეთისაც“. ასეთივე განდიდების მანიითაა შეპყრობილი ს. აშხაცავაც. მისი აზრით, „მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის არც ერთ ერის შესახებ არ მოიპოვება იმდენი ცნობები, რამდენიც აბხაზების შესახებ, ჩვენ მაინც არა გვაქვს მისი ისტორია. ერი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის მთელი კავკასიის ხალხებს აერთიანებდა და რომელმაც შეასრულა დიდი კულტურული სამუშაოები, დღემდე შეუსწავლელია“. ჩვენ არ ვიცით ს. აშხაცავას რა იმდენი ისტორიული ცნობები ჰქონდა მხედველობაში აფხაზებზე, ან რა ისეთი განსაკუთრებული კულტურული სამუშაოები შეასრულა ამ ერმა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ძველმა ქართველმა და სომეხმა ისტორიკოსებმა, მართლაც, ზღვა მასალა დატოვეს თავიანთი ქვეყნების ისტორიის შესახებ. ასეთი მარგალიტებითაა სავსე დ. გულიასა და ს. აშხაცავას „შრომები“, რომელთაგან არ შეიძლება კიდევ ერთი არ აღინიშნოს. ს. აშხაცავას აზრით, „ხუცური ანბანი აბხაზების ანბანი იყო, მხოლოდ, როდესაც აბხაზთა სამეფო დაეცა, ეს ანბანიც თანდათანობით ჰქრება და ქართლის სამეფოს ალორძინებით მხედრული ანბანი ძლიერდება“. ასე ერთი ხელის მოსმით ს. აშხაცავამ ქართული ანბანი აფხაზურ ანბანად გამოაცხადა, მაგრამ იმას კი ველარ დაუკვირდა, რომ აფხაზურ ენაზე ხუცური ანბანით დაწერილი არავითარი ცნობა არ არსებობს და ამის დამამტკიცებელი არც რაიმე სხვა საბუთი.

აი, ამ დონეზე იხილავენ დ. გულია, ს. აშხაცავა და სხვა აფხაზი მეცნიერები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, რასაც არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან. განდიდების საოცარი სენით შეპყრობილი აფხაზი მეცნიერებისათვის აფხაზეთი „ამაყი სილამაზის მხარეა“, „კავკასიის მარგალიტია“, ხოლო აფხაზები „კავკასიის ფრანგებია“, „უაღრესად ნიჭიერი ხალხია, რომელიც ერკვევა რთულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში“ და რომელიც „აფერებს უცხოელებს თავაზიანობით“. საკუთარი ისტორიის აპოლოგიით გატაცებულმა აფხაზმა მეცნიერებმა მოახერხეს აფხაზი ხალხის საკმაო ნაწილისათვის შეექმნათ განსაკუთრებულობის ილუზორული გრძნობა და ამით ნებსით თუ უნებლიეთ მათ აფხაზი ხალხის აგრესიის გზაზე დაყენებას შეუწყვეს ხელი, რაც საბოლოოდ ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ განახორციელა და რაც ქართველებისადმი დაპირისპირებასა და ქართველებთან საომარ კონფლიქტებში გამოიხატა. ასე რომ, ქართული ისტორიისა და კულტურის მითვისების სურვილი შემდეგში ქართული მიწების მითვისების სურვილსა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში გადაიზარდა.

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით დ. გულიასა და ს. აშხაცავას შრომებზე, რომ შემდეგი თაობის აფხაზი მეცნიერების გამოკვლევებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფაქტების საოცარი გაყალბებით და საკითხების ტენდენციური გაშუქებით ხასიათდება. ასე რომ არ იყოს, ძნელია მაშინ გულწრფელად დაწერო: „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია დ. გულიას წიგნი „აფხაზეთის ისტორია“, რომელსაც „დღემდე არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა“ (შ. ინალ-იფა).

აფხაზეთის ისტორიის საკითხებს მეტად ცალმხრივად აშუქებს აგრეთვე მ. გუნბა. მისთვის არ არსებობს ფაქტები, იგი დაუსაბუთებლად უარყოფს სხვა მეცნიერების მოსაზრებებს, თავისი აზრის დასამტკიცებლად ხშირად აშკარად ცრუობს. მაგალითად, მ. გუნბა აღნიშნავს: „მკვლევართა ნაწილი გულმოდგინედ ამტკიცებს, რომ აფხაზეთის სამეფოში, და განსაკუთრებით აფხაზეთში, მთავარი ენა იყო ქართული და რომ ოფიციალურ წარწერებში ბერძნული ენა IX-X საუკუნეებში შეცვლილი იქნა ქართულით. ამ აზრის განსამტკიცებლად ეყრდნობიან ხ. ს. ბღაჟბას ნაშრომს „დამწერლობის ისტორიიდან აფხაზეთში“, მაგრამ ხ. ს. ბღაჟბას ნაშრომში ამის მსგავსი არაფერია“. ახლა ვნახოთ რა უწერია ხ. ს. ბღაჟბას: „აფხაზეთის გაძლიერებული კულტურული სიახლოვე საქართველოსთან, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ენა არის სამწერლობო, სახელმწიფო საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა“. ამ აზრის განსამტკიცებლად ხ. ბღაჟბა ზ. ანჩაბაძესაც იმოწმებს. თუ არა მთავარი, მაშ რა უნდა ვუწოდოთ აფხაზეთში ქართულ ენას, როდესაც იგი ასრულებს სამწერლობო, სახელმწიფო საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციებს? ამასთან, ბუნებრივია, თუკი ხალხს, ადგილობრივ მოსახლეობას ეს ენა არ ესმოდა, მაშინ იგი ამ ფუნქციებს ვერც შეასრულებდა. მ. გუნბას აზრით, ალბათ, ქართული ენა დამხმარე ენა იყო. მაგრამ ამ შემთხვევაში უმჯობესია მ. გუნბას აფხაზური ანდაზა შევახსენოთ: „სადაც შენი საქმე არაა, იქ კოვზს ნუ ამოუსვამო“.

ანზორ თოთაძე.
(გაგრძელება იქნება)

ინფორმაცია

საერთაშორისო აღიარება

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის და საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივები ულოცავენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ცნობილ ნევროპათოლოგს, **ავთანდილ ლაშქარავას** ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევას.

გმირთა უკვდავსაყოფად

ახლახან თერჯოლაში გაიხსნა იმ თერთმეტი თერჯოლელი მეომრის ხსოვნის მემორიალი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ. გამგეობის გადაწყვეტილებით თერჯოლის ორ ქუჩას მიეკუთვნა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ჭაბუკების ტრისტან ხოფერიას და ალექსანდრე სულამანიძის სახელები.

მზადდება ალბომი, რომელშიც ასახული იქნება სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებში თერჯოლის რაიონის მონაწილეთა ამსახველი მასალები.

ხათუნა ზუბიტიძე.

გელით სახლ-მუზეუმი

მთელი გასული ზამთარი და გაზაფხული გრძელდებოდა დიდი მსახიობის ჩვენი საამაყო თანამემამულის, უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმის შეკეთება ზესტაფონში.

რაიონის ადგილობრივი მმართველობის უშუალო ინიციატივით და ხელშეწყობით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჩაატარა ფირმა „მკ"-მ (ხელმძღვანელი ი. მაღლაკელიძე).

შეკეთდა საექსპოზიციო დარბაზის იატაკი, შემოღობა მუზეუმის ტერიტორია და სხვა.

ახლა მუზეუმი მზად არის დამთვალიერებელთა მისაღებად.

ნაქურდალი დააბრუნებინეს

ზესტაფონელმა მამუკა მეუდლიძემ და ზურა გველესიანმა განიზრახეს ზესტაფონის ერთ-ერთ სკოლაში შეპარულიყვნენ და რაც ხელში მოხვდებოდათ, წამოეღოთ.

გვიან ღამით, სკოლაში შესულებს, თვალში მოუვიდათ კომპიუტერები და სხვადასხვა ნივთები. ყველაფერი აიკალთავეს და სკოლას გაეცალნენ.

გამომძიებმა დიდხანს არ დააყოვნა, მალე მიაგნო სკოლის ქურდებს და დააბრუნებინეს ნაქურდალი.

გამოავლინეს ნარკომანთა ბუნაგი

ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ზესტაფონში, ქუნდიდელის ქ. 29-ში მდებარე ბინაში აღმოჩენილ იქნა ნარკომანების თავშეყრის ადგილი. აქ აღმოაჩინეს ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი და ნარკოტიკების დასამზადებელი მოწყობილობა.

ნარკოტიკების „წარმოებას" ხელმძღვანელობდა მრავალჯერ ნასამართლევი დემურ სარალიძე, მასთან ერთად იყვნენ ნარკოტიკების მომხმარებლები — ზურაბ მაღრაძე, გიორგი დათიაშვილი და გიორგი მანჯავიძე.

ჰენრი შარიქაძე.

მკვლელი მიიმალა

როგორც საქინფორმს აცნობეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, 5 ივლისს, ბათუმში, თავის ბინაში (ლერმონტოვის ქ. 14) ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ცეცხლსასროლი იარაღით [illegible] ბათუმის მე-8 იზოლატორის უფროსის მოადგილე პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ანზორ მაშალაძე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

საქმეს იძიებს ბათუმის პროკურატურა.

ჩემი თანამედროვე

წვართა სულისა,

ანუ, ღმერთო, არ მომაკლო გასაჭირი



ეს კაცი ქვეყნის დასალიერიდან, იმიერპოლარეთის ბანაკებიდან გამოქცეული პატიმარია — ქართული არისტოკრატიული გვარის ნაშიერი იაგორ კარგარეთელი, იგივე გორა მბორგალი (პაპამისმა — იაგორ კარგარეთელმა რომ შეარქვა ბავშვობაში მოუსვენარ შვილიშვილს და დღემდე ასე შერჩა — გორა მბორგალი)... იგივე ჭაბუა ამირეჯიბი — მრავალჭირვარამგადანახადი და გაუტეხელი.

მან ორიათასი კილომეტრი უნდა გაიაროს, ირბინოს, იხეტიალოს... თოვლში, ყინვაში, პურგაში, ტუნდრა და ტაიგა გადალახოს, საჭმელ-სასმელი ეძებოს, მდევარს გზა-კვალი აუბნიოს, რათა ხუთი-ექვსი თვის შემდეგ, გასავათებული, რკინიგზას მიადგეს და საწადელი აისრულოს, „დილიხორი გაისწოროს" — რელსზე წამოჯდეს, ანუ კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, თავისუფლებისთვის რომ არის დაბადებული. ბოლოს ეს ნანატრი წამიც დადგება, ეს სწრაფვაც კეთილად დაგვირგვინდება:

„მოვედით, გორავ, რელსზე, დაჯექით!.. საწადელს ხომ მიაღწიე, ხომ თავისუფალი ხარ და რელსზე ზიხარ — რატომ არ გიხარია?.. მაგას ჩემ თავს ყოველი გაქცევის შემდეგ ვეკითხებოდი. არასოდეს მიხაროდა, მაგრამ ეხლა რა გუნებაზე ვარ, იცი? რომ გამოიღვიძებ და ისე ხარ გაქურდული — ნიფხავ-პერანგიც აღარსად არის! ამოვა მიტილენიჩი და გამქურდავს. მშვიდობით ძალისხმევავ, პირთათმენავ, მიზანსწრაფვავ და თავისუფლებავ!.. ეგ არ მოხდება, თავად კარგად იცი, სადაც გიპირებს აყვანას, ხოლო იმას, რასაც შენ მიაღწიე, ვერავინ მოგპარავს. ეს აღსრულებაა! დაე, უკანასკნელი, მაგრამ შენს აღსრულებათაგან უძნელესი — ნუ ვიქნებით ზომაზე მეტად მოკრძალებული. რაც შეძელი, ახლავე რომ გესროლონ და მოგკლან — არ დაიკარგება, ადამიანებისთვის დარჩება..."

მაგრამ ჯერ მთელმა ცხოვრებამ უნდა გაირბინოს გორა მბორგალის — ჭაბუა ამირეჯიბის თვალწინ, მისი გვარ-ჯილაგის, მისი მამა-პაპის, სანათესაოსა თუ საძმაკაცოს ხშირად სულისშემძვრელი, ზოგჯერ [illegible] (მწერალს აქვს ნაპოვნი და მრავალჯერ ნახმარი ეს სიტყვა რომანში) ამბები მოგვიყვეს, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში „კომუნიზმის მშენებელი" ადამიანების ბედ-იღბალი ხელის გულზე გადაგვიშალოს.

„გორა მბორგალი" ჭაბუა ამირეჯიბის ახალი რომანი...

ალბათ, იშვიათია მწერალი, რომლის მომავალი ნაწარმოების გამოსვლას ასე სულმოუთქმელად ელოდა მკითხველი. „დათა თუთაშხია" იმოდენა განაცხადი იყო, ბევრმა თქვა, აწი რაღა უნდა დაწეროსო, ზოგმა — დათასთანა ვერ იქნებაო, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ამასობაში კი, ბატონი ჭაბუა, რომ იტყვიან, დღე-ღამეს ასწორებდა, თავმდაბლად იღებდა თუთაშხიას გამო მიძღვნილ ქება-დიდებასაც და არც ქართული შური და ქილიკი უკვირდა.

და აი, გასრულდა ათი წლის ტიტანური შრომა — დიდი ქართველი მწერლის ტალანტის თაყვანისმცემლებმა, ბოლოსდაბოლოს, მიიღეს (თუმცა, არც ისე დიდი ტირაჟით, თუმცა, არც ისე იაფად) ჩემი აზრით, უაღრესად საინტერესო სათავგადასავლო რომანი.

მეც ერთ-ერთი თაყვანისმცემელი ვარ ჭაბუა ამირეჯიბის პიროვნებისა და მწერლობისა, მეც მოუთმენლად ველოდი მის ახალ ნაწარმოებს, ერთი-ორჯერ ბინაზე ვეწვიე — მუშაობდა, ზოგი რამ გამაცნო კიდეც, ყოველ შემთხვევაში, მე უკვე ვიცოდი, რას წერდა, ამჯერად ბატონი ჭაბუა, რაზე იყო მისი ახალი რომანი...

... შუა კითხვაში დავურეკე — აღტაცება გავუზიარე. ცხადია, ესიამოვნა... რომ დაამთავრებ, გამოიარე, პირველი ინტერვიუს უფლება მხოლოდ შენა გაქვსო — მითხრა ტელეფონში.

ჰოდა, მივადექი, ლიფტში გვარიანი შიში ვჭამე — ტკაცით ადიოდა და ძლივს ავაღწიე (მერე გავიგე, თურმე, საერთოდ ასე მუშაობდა) მეცხრე სართულამდე.

კარი მწერლის ერთგულმა თანამეცხედრემ ქალბატონმა თამარმა გამიღო და, უცებ აღმოვჩნდი მოკლე ტრუსის ამარა მწერლის პირისპირ, კი, ასე იყო: იჯდა დივანზე ჭაბუა ამირეჯიბი — ლამის დედიშობილა — მხოლოდ ტრუსის ამარა — და ოპერატორ ლევან ნამგალაშვილს ებაასებოდა, წინ რამდენიმე ცალი წიგნი ედო („გორა მბორგალი" ვიცანი) და ტიტულზე რაღაცას აწერდა.

შემომხედა. ორთავეს ხელს ვართმევ. „მოდი ვილენ, გაკოცო... აგერ, ახლოს ჩამოჯექი... ლევანს კი იცნობ... ახლა ისრაელში ცხოვრობს და მოღვაწეობს... ჩემს ებრაელ მეგობრებთან ახალ რომანს ვატან საჩუქრად".

ასე უბრალოდ, ასე შინაურულად, მხოლოდ ძალზე მახლობელ ადამიანებს თუ ვიღებთ ოჯახში ქართველები, და უპირველესად ეს მესიამოვნა.

„რას მიყურებ... თვრამეტი კილო დავიკელი ამ ავადმყოფობაში... მაინც ვარ, მტრის ჯინაზე"...

ლევან ნამგალაშვილი მალე გვტოვებს, ქალბატონ თამარს ხენდროს კომპოტის წვენი შემოაქვს მაღალ-მაღალი ჭიქებით — ცხელა, გესიამოვნებათო, და ფეხაკრეფით გადის.

აქაურობას ერთი ფოტოსურათი მიმატებია — ბუხრისთავიდან აფხაზეთში გმირულად დაცემული ვაჟკაცი შემოგვცქერის ბატონი ჭაბუასი — ირაკლი ამირეჯიბი.

რაღაცას ეძებს. ჰო, დიქტოფონი გამოიტანა და შორიახლო ჩამოჯდა. ეს მისი სტილია: მთელი რომანი დიქტოფონში აქვს მონაყოლი, ათობით კასეტაზე ჩაწერილი... ჟურნალისტებთან საუბარსაც ასე იწერს...

„გამხმარო, გაძვალებულო"... მურმან ლებანიძის სიტყვები მახსენდება, „დათა თუთაშხიას" ავტორს რომ მიუძღვნა პოეტმა. გულ-მკერდზე ვეებერთელა სვირინგი აქვს გამოსახული — წმინდა გიორგი ურჩხულს ებრძვის. აქედან ვიწყებ: — **ეს როდინდელი დახატულია?..**

— კარგა ხნის... ავჭალაში ვიჯექი მაშინ... მოქანდაკე ლევან ცომაიას „ნამუშევარია"... ატოცის წმინდა გიორგია — ჩვენი გვარის მფარველი. ვფიქრობდი: ის ყველა გაჭირვებას გადამატანინებდა, ყოველ შეხედვაზე გამახსენებდა — ფრთხილად მემოქმედა... მე ხომ პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" წევრი ვიყავი...

— ბატონო ჭაბუა, თქვენი ნებართვით მთავარზე გადავალ: ეს ინტერვიუ, როგორც იტყვიან, „ცხელ კვალზე" კეთდება. ჯერ კიდევ პირველი შთაბეჭდილება არ გამნელებია... მცირე ტირაჟის (5000 ცალი) და საკმაოდ დიდი ფასის გამო (25000 რუბლი), არა მგონია, თქვენი ახალი რომანი, ჯერჯერობით, ბევრს ჰქონდეს წაკითხული. და, რახან მე ბედნიერება მხვდა წილად უკვე გავცნობოდი გორა მბორგალის თავგადასავალს (ერთმა ღვთიან-მადლიანმა საჩუქრად მოგვიტანა წიგნი ოჯახში), აღარ დაგაყოვნებ და მოგაშურეთ, ვინძლო ერთი-ორი სიტყვა მითხრათ ამ ორმოცდაორმიანი რომანის გასრულების შემდეგ... (საინტერესოა, ხომ არ გამოგეხმაურნენ მკითხველები უკვე?

— ბევრი გამომეხმაურა... მკითხველი, კოლეგა, ზოგიც — კრიტიკოსი... რომან მიმინოშვილმა ერთ-ერთ გაზეთში უკვე გამოაქვეყნა წერილი... „საქართველოს კომპარტია" — ყოფილა ასეთი გაზეთი... ბატონმა შალვა ბერიანიძემ სთხოვა... ეს ინტერვიუ კი, ფაქტობრივად, პირველია...

თავის აზრს გვიზიარებს მწერალი რეზო ჭეიშვილი:

— ინტერესით წავიკითხე ბატონი ჭაბუას ახალი რომანი. თანაც, ორჯერ წავიკითხე, პირველად როგორც მკითხველმა და მეორედ, როგორც პროფესიონალმა. რომანში ორი ხაზია, ორი შენაკადი. ერთია, რასაც ჰყვება მწერალი, მეორე კი — გმირის ფიქრი და განვლილი ცხოვრების ანალიზი.

ავტორის (რომელიც თვითონ არის მთავარი გმირი რომანისა) მდიდარი ბიოგრაფიის, ხასიათებისა და დროის შერწყმის შედეგად დაიხატა ძალზე მნიშვნელოვანი ეპოქა — დღევანდელი დღიდან დანახული, რამაც კიდევ უფრო საინტერესო გახადა ნაწარმოები.

„დათა თუთაშხია" ხომ ბრწყინვალე წიგნია, ბატონი ჭაბუას ახალი რომანი ჩემთვის, მაგალითად, უფრო საინტერესოა, და, იცით რატომ? აქ ჩემი დროა ასახული, გამოგონილი ნაკლებადაა შიგ, თითქმის დოკუმენტური ამბებია და ეს მომწონს უპირველესად.

მოკლედ, მე ვთვლი, რომ ეს ახალი რომანი არა მარტო ჭაბუა ამირეჯიბის, როგორც მწერლის, არამედ მთელი ქართული ლიტერატურის გამარჯვებაა...

* * *

— როგორ გგონიათ, ბატონო ჭაბუ, შეისხა ხორცი ჩანაფიქრმა?..

„დათა თუთაშხია" რომ დავწერე, მე ვგრძნობდი, რომანი გამომივიდა, ხოლო რა ბედი ეწეოდა შემდეგ, არ ვიცოდი, ასეა — ამ შემთხვევაშიც...

მე იმ მწერალთა რიცხვს არ ვეკუთვნი, დასრულებული შრომის შემდეგ თვითკმაყოფილებას რომ ეძლევიან... უკმარისობის გრძნობა მაქვს, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერაფერს ვიტყვი, დროა საჭირო...

— მე, პირადად, სათაური „გორა მბორგალი" — მაინცდამაინც მომგებიანი არ მეჩვენება. იქნებ ვცდები...

— პირველ რომანს „დათა თუთაშხია" ერქვა, და, ამის გამო, იგი არ დაკომპლებულა... თუმცა, თავიდან, მართლაც უჭირდათ გამოთქმა... იმედი მაქვს, აქაც ასე იქნება...

— ამ რამდენიმე წლის წინათ ჟურნალმა „დრუჟბა ნაროდოვმა" ანონსში აუწყა მკითხველებს, რომ მალე ჭაბუა ამირეჯიბის რომანის ბეჭდვას დაიწყებდა. ეს დაპირება დაპირებად დარჩა...

რა მოხდა მაშინ, და, ამჯერად მაინც ხომ არ შეუდგება „დრუჟბა ნაროდოვი" ან რომელიმე რუსული გამოცემა „გორა მბორგალის" გამოქვეყნებას? საერთოდ, ხომ არ არის მოთხოვნები უცხოეთიდან?

— ანონსი „დრუჟბა ნაროდოვში" სრულიად შემთხვევითი იყო: ვზივარ ერთ დღეს, მოსკოვში, იმ ჟურნალის მთავარ რედაქტორთან, მოადგილესთან, პროზის განყოფილების გამგესთან ერთად და ყავას შევექცევით... მაშინ ხელმომწერებზე ჰქონდათ გასაჭირი და მითხრეს: ახალ რომანს ხომ არ წერო. ვუთხარი, რომ ვმუშაობდი რომანზე... მათაც დიდის ამბით ანონსში შეიტანეს, შეიძლება ითქვას, მკითხველი გააცურეს... ისე კი, წელს, მოსკოვის ჟურნალ „ზნამიას" მეშვიდე და მერვე ნომრებში (შეიძლება მეცხრეშიც) დაიბეჭდება „გორა მბარგალის" საჟურნალო ვარიანტი.

— ვინ თარგმნა?...

— ესეც ავტორისეულია, ოღონდ პწკარედია გაკეთებული ქალბატონ ემა პრივალოვას მიერ. იგი შესანიშნავი მცოდნეა როგორც რუსული, ასევე ქართული ენისა, შრომა არ დაუკლია, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ... მე სტოკჰოლმში მყავს ლიტერატურული აგენტი, გამომცემლობა „ვალდტრომ ოგ ვიდსტრონდის" შეფი, რომელთანაც ხელშეკრულება მაქვს დადებული და, ვნახოთ, რა წინადადებები წამოვა უცხოეთიდან.

— წიგნს აწერია, დაიბეჭდა ავტორის ხარჯით. თუ საიდუმლო არ არის, გაგვიმხილეთ: რამდენი „ჩადევით" და რამდენს „ამოღებას" აპირებთ? ეს ისე, ხუმრობა გაშვებით...

— წიგნის გამოცემა დაჯდა, დაახლოებით, 15-16 ათასი დოლარი. ეს თანხა, რა თქმა უნდა, მარტო ჩემი არ არის — მყავდა სპონსორები, რომლებსაც, აქვე მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო, უპირველეს ყოვლისა კი ბატონ გივი სინჯიკაშვილს — ფირმა „გორდას" პრეზიდენტს, რომელიც უანგაროდ დამეხმარა — გაიღო სამი ათასამდე დოლარი, და, აგრეთვე, სხვებსაც, ვინც სესხად მომცა თანხები. ეს — ჩასასეხებელია... ერთი 5-6 ათასი დოლარი მეც მქონდა და ასეთნაირად შეგროვდა გამოცემისათვის საჭირო თანხა... როგორც თქვენ ამბობთ, „ამოღების" მხრივ კი, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიყიდება წიგნი. შეიძლება ხარჯიც ვერ ავინაზღაურო...

— ბატონო ჭაბუ, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირია ბანაკების ძებნის სამმართველოს უფროსი მიტილენიჩი — ძალზე საინტერესო სახე — ჭკვიანი, ცბიერი ჩეკისტი და, თანაც, რაინდული სულის, მიზანსწრაფული პიროვნებების დამფასებელი... რომანის ბოლო გვერდებზე ჩანს — მან რკინიგზის ხიდურამდე მოგსდიათ, იქვე შეეძლო დაპატიმრებაც, მაგრამ აღარ იკისრა — შეუმჩნევლად ჩავიდა ვაგონიდან... ეს სახეც დოკუმენტურია რომანში (როგორც თითქმის ყველა სახე?) თუ ახეა, რა ბედი ეწია შემდეგ ამ კაცს?

— ეს კაცი არის თავიდან ბოლომდე გამოგონილი სახე. იმიტომ, რომ გორა მბორგალს მოპირისპირე უნდა ჰყოლოდა.

— როგორც დათას — მუშნი?..

— თუნდაც... მიაქციეთ ყურადღება: იგი ნახევრად ქართველია. ამ ნახევარქართველობით მე მინდოდა გამომეხატა ჩვენებური კაცის ხასიათი და ყოფა კომუნისტური რეჟიმისა და იმ სამსახურის პირობებში, რომელსაც ჩეკისტობა ეწოდება.

— თქვენ ერთხელ დაახლოებით ასეთი რამ განაცხადეთ: სამი წიგნი მაქვს დასაწერი, თუ ჯანმა არ მიღალატა და განგებამ დამაცადაო... რა დღეშია მესამე წიგნი?..

— აი, წინ მიდევს და ვმუშაობ... სხვათა შორის, ეს უფრო ადრე დავიწყე, ვიდრე „გორა მბორგალი". მერე, მრავალ გარემოებათა გამო გორას თავგადასავალს ვეღარ მოვეწყვიდე, ბოლომდე მივიყვანე და ახლაღა მივუბრუნდი ადრეულ ჩანაფიქრს... ეს თუ დავამთავრე, ჩემი ცხოვრება მართლაც გამართლებული იქნება...

— რაზეა წიგნი?

— თქვენ მოგეხსენებათ, დიუმას „სამი მუშკეტერის" პოპულარობა. იგი თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე და დიდი სამსახური გაუწია ახალგაზრდობას ზნეობისა და ცხოვრებისეული პრინციპების ჩამოყალიბებაში. სამწუხაროდ, ქართველებს ამგვარი წიგნი არა გვაქვს; (არადა, როგორ გვჭირდება) ჰოდა, მეც ვწერ, თუ მოვიყვანე ბოლომდე... რაზეა წიგნი? მასში მოთხრობილი იქნება ქართველი ერის ისტორიის ფონზე წარმოსახული რამდენიმე ახალგაზრდის თავგადასავალი. მოქმედება იშლება XII-XIII საუკუნეების მოვლენათა ფონზე. აქ არის საქართველოც, ბიზანტიაც, სხვა ქვეყნებიც და ამ ახალგაზრდების საქმიანობა და ღვაწლი თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. წიგნი სავსე უნდა იყოს ათასი ფათერაკებით, გამარჯვებებით, დამარცხებებით... და, ყოველივე ამის მიმართ, ამ ადამიანების დამოკიდებულება... ვნახოთ, ჯანზე მაინცდამაინც ვერა ვარ... თუ შევძელი...

* * *

შეძლებს!

„გორა მბორგალის" წამკითხველს უმალ ერთი აზრი გაუჩნდება, რას არ უძლებს ადამიანი! თუმცა, იმ საშინელებების გაძლება მხოლოდ ამირეჯიბის ჯიშის და „ჩამოსხმის" ადამიანებს თუ ძალუძთ. ამგვარი კაცებით მოვიდა დღემდე ჩვენი ერი.

ასეთი ცხოვრებისათვის ბალღობიდანვე ამზადებდნენ ამ ადამიანებს მამა-პაპანი. აი, მაგალითი: პაპამისმა იაგორ კარგარეთელმა ქაღალდზე დაუწერა და თავეთით გაუკრა შვილიშვილს: **„ღმერთო არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მქონდეს მხოლოდ მე".**

მთელი ცხოვრება ცდილობს ამ უზენაესი ფორმულის აღსრულებას ჭაბუა ამირეჯიბი, დიდებულ წინაპართა დანაბარები გულის-გულში უზის, რაინდია — სიბერეში ნაგემებმა ძირმწარემაც ვერაფერი დააკლო!...

სული წვართა და იმიტომ!..

ვილენ მარდალეიშვილი.

პოლიცია

დანაშაულს გაუხსნელს არ დავტოვებთ

გვესაუბრება მარნეულის რაიონის პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ფრიდონ კენკებაშვილი

დაიბადა 1944 წელს, სოფელ მარაბდაში, დაამთავრა ორი უმაღლესი სასწავლებელი. 24 წლის ასაკიდან მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში. ცნობილია როგორც დამნაშავეობასთან შეურიგებელი მებრძოლი, თანამდებობაზე დაინიშნა 1995 წლის 22 თებერვალს.

კითხვა, რომელიც დღეს ყველაზე უფრო აწუხებს საზოგადოებას, მიმართულია პოლიციის მუშაკებისკენ: როდის მოეღება ბოლო მკვლელობებს, ადამიანის მოტაცებას, ძარცვას, ქურდობას და სხვა დანაშაულს. რატომ არ იჭერთ ბოროტმოქმედებს, არ სჯით მათ? ეს კითხვები წარმოითქმება მანამდე, სანამ თუნდაც ერთი დამნაშავე დაუსჯელი იპარპაშებს. თუმცა, მოდით, დასმულ კითხვებს დამნაშავეობასთან ბრძოლის შედეგებით ვუპასუხოთ.

სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით მარნეულის რაიონში შარშან ექვს თვეში 105 დანაშაული აღირიცხა, მაგრამ მხოლოდ 58 შეძლეს გაეხსნათ. მათ შორის 59 მძიმე დანაშაულისაგან გაიხსნა 24, ათი მკვლელობისაგან — ექვსი. თავისთავად ის, ვინც ადამიანის სიცოცხლეს ხელყოფს, უდიდეს ცოდვას სჩადის, მაგრამ დაუშვებელია როცა მკვლელი არ ისჯება, კანონის და სამართლის წინაშე პასუხს არავინ სთხოვს.

რა გავაკეთეთ ჩვენ წლეულს ექვს თვეში? მომხდარი 99 სისხლის სამართლის დანაშაულისაგან გავხსენით 92, მძიმე ხასიათისა — 37-დან 31. ხუთი მკვლელობისგან სამზე ეჭვმიტანილები დაკავებული არიან, ერთიც იძებნება, მალე მეხუთე მკვლელობის ჩამდენთანაც მივალთ.

ეს მონაცემები სრულად არ ასახავენ იმ ტიტანურ შრომას, არცთუ იშვიათად სიცოცხლის რისკის ფასად რომ ეწევიან პოლიციის მუშაკები. მთავარი კი ის არის, რომ სადღეისოდ რაიონის ტერიტორიაზე მიღწეულია კრიმინოგენული ვითარების სტაბილიზაცია. ადამიანი უკვე უშიშრად გამოდის ქუჩაში, სამუშაოზე, მგზავრობს, ვაჭრობს, თანდათან ქრება შიში, გაუჩნდა ნდობა ძალოვანი სტრუქტურების მიმართ, საშველად მიმართავს პოლიციას. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ჩვენს რიგებში სრული თვითწმენდა ჩატარდა. მაგრამ მჯერა, რომ ჯანსაღი ბირთვი უკვე შეიკრა და მოქმედებს კანონის და ადამიანის სიმშვიდის დასაცავად.

ამ დღეებში ჩატარებული სპეციფიკური ღონისძიებების მეშვეობით დანაშაულში ეჭვმიტანილთა რამდენიმე კაცისგან შემდგარი ჯგუფი დაკავებულია. მათი ბინებიდან და სამალავებიდან ამოღებულია მრავალი ნივთმტკიცება, უკვე აღიძრა შვიდი სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება, სულ დაფიქსირდა 14 დანაშაულის ფაქტი. თანაც არა დაზარალებულთა ინიციატივით, არამედ მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი დანაშაულის კვალზე, როგორც იტყვიან, მოვქაჩეთ ბადე. ჯერჯერობით დანაშაულში ეჭვმიტანილთა და დაკავებულთა გვარების დასახელებისაგან შეგნებულად ვიკავებთ თავს, ამას გადავდებ გამოძიების და სასამართლოს დასრულებამდე, მაგრამ რას ფიქრობდნენ ეს ადამიანები (თუ კი მათ შერჩენიათ ადამიანობა), როცა ისინი თავისსავე სოფლელებს პარავდნენ, არცთუ იშვიათად აშკარად, მამასისხლად შეძენილ საოჯახო ნივთებს, ცხვარს, მსუბუქ მანქანებს. მოქალაქე შ. ჭ.-ს სახლიდან მთელი ღამე მანქანით ეზიდებოდნენ თუ კი რაიმეს გატანა შეიძლებოდა, სამზარეულო კომპლექტით დაწყებული და საბურავით დამთავრებული... 1992 წელს და შემდგომ, პოლიციას დამნაშავენი არ უძებნია, არც სოფლის მცხოვრებლებს გამოუჩენიათ პრინციპულობა. როცა კულტურის სახლის სახურავს იპარავდნენ, სოფლის საკრებულოს შენობაც კი ხელყვეს, მაგრამ გამკითხავი არავინ აღმოჩნდა.

დღეს კი დაბრუნდა ბოროტმოქმედების ალაგმვის, დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ხანა. სოფელ წერეთელში ჩადენილი ქურდობა-ყაჩაღობანი არ შეიძლება აღვიქვა როგორც ჩვეულებრივი დანაშაული, ეს უნდა შეფასდეს უმძიმეს ბოროტებად, რომელიც ჩადენილია მოძმისა და მოყვასის მიმართ ძნელბედობის ჟამს. ნურავინ ცდილობს გაამართლოს იგი მძიმე სოციალური ვითარებით. აქ უფრო საქმე გვაქვს ზნეობრივის დაცემასთან, სულიერი ღირებულებების დაკარგვასთან.

ამიტომაც ჩვენი რაიონის გამგეობის ახალი ხელმძღვანელობა ენერგიას არ იშურებს რათა აღმოფხვრას დანაშაულის გამომწვევი მიზეზები. სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული უკანონო შემოსავლებით ერთეულების გამდიდრების და ათასობით ადამიანის გაღატაკების წინააღმდეგ. მტკიცდება რაიონის და რესპუბლიკის ბიუჯეტები, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს დანაშაულობასთან, ბრძოლასთან.

ერთ-ერთ საშიშ მოვლენად ვთვლი ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობას და მოხმარებას, ასეთი ფაქტების გამოვლენაში ჩვენ მატება გვაქვს, ნაცვლად შარშანდელი 18-სა, წლეულს 22 ფაქტია რეგისტრირებული, მათ შორის რეალიზატორთა რაოდენობა ოთხიდან შვიდამდე გაიზარდა. მათ დაკავების მომენტში აღმოაჩნდათ დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება, ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიას არაფრად მიაჩნია საკუთარი სარფიანი საქმე აწყოს სხვის შხამით მოწამვლაზე. სარფიანობის მხრივ ვერც ერთი ჯიხური ან დახლი ვერ შეედრება ნარკოტიკით ვაჭრობას. ერთი გრამი ოპიუმის ფასი შავ ბაზარზე 50.000 რუბლამდე ადის.

სათქმელი და საწერი რაიონის კრიმინოგენულ ვითარებაზე კიდევ ბევრი მაქვს. თუმცა ერთი მთავარი მაინც უნდა აღვნიშნო. ეს შეეხება პოლიციელის მაღალ პროფესიულ ცოდნას, მის საბრძოლო აღჭურვილობას და უანგარო თავდადებას. იდეალურზე არც ვოცნებობთ, მცირედსაც დავჯერდებოდით. ახლა მთავარია შეუძლებელი შევძლოთ და ბოროტების მთესველთ წინ აღვუდგეთ.

ერთი საატესტაციო შემოწმება უკვე ჩავატარეთ და ზოგიერთი თანამშრომელი თავისივე თხოვნით წავიდა ორგანოდან. თანდათან პოლიციელთა კოლექტივი შეივსება ერთსულოვანი თანამებრძოლებითა და თანამოაზრეებით.

ამას წინათ რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობასთან ერთად საზღვრისპირა ზონაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობას შევხვდით. მათ თქვეს, რომ მხარს უჭერენ რაიონის ახლანდელი ხელმძღვანელობის ბრძოლას კანონიერების განმტკიცებისათვის, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, რომ ისინი მზად არიან პოლიციასთან ერთად იბრძოლონ შავი სამყაროს დასამარცხებლად. ასეთი მხარდაჭერა და ნდობა ჩვენთვის დიდი სტიმულია.

მარნეულის რაიონზე გადის ორ მეზობელ სახელმწიფოსკენ მიმავალი ავტო და სარკინიგზო მაგისტრალები. უამრავი კანონიერი თუ უკანონო ძვირადღირებული სხვადასხვა დანიშნულების საქონელი მიედინება საქართველოდან, არცთუ იშვიათად გაუფორმებელი ან უწესო საბუთებით. როცა ვცდილობთ გავერკვიოთ ტვირთის წარმომავლობა, ხშირად გვიგვრძნია ზეწოლა რესპუბლიკის ზოგიერთი მაღალი რანგის თანამდებობის პირისაგან. ამას ვერ შევურიგდებით, ვინაიდან, ეს საზიანოა საერთო საქმისა და ქვეყნისათვის.

არ გვინდა ერთი ნაწილი მოქალაქეებისათვის კანონის გვერდის ავლით პრივილეგიური პირობები შევქმნათ. კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს.

საუბარი ჩაიწერა
ვახტანგ ამირანაშვილმა.

ხსოვნა

ოლღა ქურდევანიძე

— გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი **ოლღა კონსტანტინეს ასული ქურდევანიძე.**

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღვაწლმოსილი წარმომადგენელი იმ თაობისა, რომელმაც კეთილსინდისიერად ატარა საქართველოში ტექნიკური განათლების განვითარების საპატიო საქმე.

დაიბადა 1913 წელს თბილისში. 1930 წელს შევიდა ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც იმ წელს იქნა შემოღებული სილიკატების ტექნოლოგიის სპეციალობა და კათედრა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ო. ქურდევანიძე ამ კათედრაზე მიიწვიეს სამუშაოდ. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, 60 წლის განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდა თავის საპატიო მოვალეობას — ეროვნული ტექნიკური კადრების აღზრდას.

1944 წლიდან დამოუკიდებლად უძღვებოდა მჭიდა მასალების კურსს და ამზადებდა ამ წამყვანი ინდუსტრიული დარგის სპეციალისტებს. სამამულო ომის წლებში შეასრულა გამოკვლევა, რომელიც საკანდიდატო დისერტაციის სახით დაიცვა 1946 წელს. ამ კვლევის შედეგები და ავტორის სახელი რამდენჯერმეა მოთითებული ვ. ეიტენის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ფუნდამენტურ სახელმძღვანელოში „სილიკატების ფიზიკური ქიმია". ქალბატონმა ოლღამ თავისი მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება განაზოგადა დარგის 4 ქართულენოვან სახელმძღვანელოში, რითაც სოლიდური აკადემიური საფუძველი შეუქმნა მჭიდა მასალების ქართველ სპეციალისტთა აღზრდის უაღრესად საჭირო საქმეს.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევას საქართველოს მინერალური ნედლეულის შესასწავლად სხვადასხვა ცემენტებში მათი გამოყენების ვარგისიანობის დასადგენად.

ოლღა ქურდევანიძემ თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობით დატოვა კეთილშობილი მოღვაწის უმწიკვლო სახელი, რომელიც დაუვიწყარი იქნება კოლეგებსა და აღზრდილთა შორის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიისა და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; სილიკატების ტექნოლოგიის კათედრა.

„გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს მწერალ ლავრენტი ჭიჭინაძეს და ჟურნალისტ მირიან ჭიჭინაძეს მეუღლისა და დედის

ნატა ზაქარიას ასული მაკასარაშვილი-ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო.

დედა ლილი, მეუღლე ლალი ებრალიძე, შვილები ავთო, ნიკა, და მანანა, სიძე თემურ გვენეტაძე, ბებია ნინა ვასაძე, მამიდა მაყვალა ჭკუასელი, დეიდა რუსიკო ჩხარტიშვილი, ბიძები სამსონ ჭკუასელი, რუზო სოხაძე, ანზორ გუმბარიძე, სიმამრი ნუგზარ ებრალიძე, ცოლისდა ლია ებრალიძე, ქვისლი კახა მემარნიშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მალხაზ ავთანდილის ძე ჭკუასელი

პანაშვიდი 6, 7 VII 5 ს. გამოსვენება 8 VII 4. ს. კეკელიძის 21.

ბაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც გვითანაგრძნო და გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება სოლიკო ხაბეიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

სოლიკო ხაბეიშვილის ოჯახი.

ყურადღება!

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის ივნისში გამართულ სხდომებზე მიიღო მთელი რიგი ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის: სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის წესის, ვაჭრობისა და მომსახურების სახაზინო საწარმოების შექმნის, საპრივატიზაციო ბარათების მიმოქცევისა და დაფარვის, ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების, პენსიებისა და დახმარებების სრულყოფის, საქართველოს რესპუბლიკაში მიწების გამოყენების და აღრიცხვის, საჰაერო ტრასებსა და ხაზებზე მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის მოცულობათა სარეალიზაციო სააგენტოების ლიცენზირების შესახებ და მრავალი სხვა.

თუ გსურთ გაეცნოთ აღნიშნულ დადგენილებებს, შეგიძლიათ მიაკითხოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკას მისამართით: **ილია ჭავჭავაძის გამზირი № 24. ტელ. 22-37-05.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი.

სააქციონერო-საწარმოო ფირმა „ოქსინო"

აცხადებს აქციონერთა საერთო კრებას **1 აგვისტოს დღის 2 საათზე.**

დღის წესრიგი:

1. საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანა.
2. სადამფუძნებლო დოკუმენტების დამტკიცება.
3. სააქციონერო საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევა.

მისამართი: ბაღდადის ქუჩა, № 12. ფირმა „ოქსინოს" შენობაში.

თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:

საერთაშორისო სამართალი;
რეფერირება და თარგმნა;
საქართველოს ისტორია და მხარეთმცოდნეობა;
ბიოლოგია;
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

საბუთები მიიღება ყოველდღე, **10-დან 15 საათამდე.**
დაწვრილებითი ცნობები მიმღებ კომისიაში.

მისამართი: ფალიაშვილის ქ. № 57 (165-ე საშუალო სკოლის შენობა). ტელ.: 22-38-24.

ყველაზე იაფად

გსურთ თქვენს ბინაში, ოფისში, ან აგარაკზე, მუდმივად გქონდეთ ცხელი წყალი?

მოგვმართეთ:

ა. წერეთლის 95-ა (ყოველდღე). ტელ.: 35-11-41.

ქირავდება...

დიღმის მასივის III კვარტალის II კორპუსში სხვადასხვა კომერციული საქმიანობისათვის ქირავდება პირველ სართულზე მდებარე 120 კვ. მეტრის დარბაზი. კორპუსი დგას პრესტიჟულ ადგილას — მეგობრობის პროსპექტზე.

მსურველებს შეუძლიათ მოგვაკითხონ კორპუსში, ან დარეკონ: 61-64-25, 99-66-10.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოციაშვილი.